პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 32 (20678) — ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1990 წლის 5 თებერვალს მუშაობას განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

შესვენების შემდეგ კამათში გამოვიდნენ: **ბ. მ. ბელოუსოვი** — სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის მინისტრი; **ვ. ი. ბროვიკოვი** — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში; **ბ. კ. ლუჩინსკი** — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ბ. ვ. გიდასპოვი** — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ბ. ე. პატონი** — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; **ვ. ა. შაბანოვი** — სარატოვის ელექტროაგრეგატის საწარმოო გაერთიანების უფროსი ოსტატი; **ა. ნ. მუთალიბოვი** — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ვ. მ. პლატონოვი** — საწარმოო გაერთიანების „ჩელიაბინსკის ვ. ი. ლენინის სახელობის სატრაქტორო ქარხნის“ პარტკომის მდივანი; **ნ. ი. რიჟკოვი** — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; **ი. ი. მელნიკოვი** — მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი; **მ. ა. ულიანუკი** — სკკპ ივანოვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ა. გ. კოვალიოვი** — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; **ნ. ნ. გუბენკო** — სსრ კავშირის კულტურის მინისტრი; **ვ. ვ. კოზლენკოვი** — ქარხანა „პროგრესის“ პარტკომის მდივანი, კუიბიშევის ოლქი.

პლენუმის მასალები სრულად ქვეყნდება გაზეთ „პრავდაში“ და შინაარსი — მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში.

პლენუმზე შეიქმნა პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის დამმუშავებელი და განსახილველ საკითხზე პლენუმის დადგენილების მომმზადებელი სარედაქციო კომისია.

• • •

6 თებერვალს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განაგრძო პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტისა და ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების განხილვა.

დღის პირველ ნახევარში პლენუმზე გამოვიდნენ **ე. პ. ველიხოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის დირექტორი; **ვ. ი. ვოროტნიკოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რსფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე; **ი. ა. განკოვსკი** — ტიუმენის ოლქის საწარმოო გაერთიანება „ნიჟნევარტოვსკ-ნავთობგაზის“ პარტკომის მდივანი; **ვ. ი. ვიალიახი** — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ი. კ. ლიგაჩოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ვ. დ. კადოჩნიკოვი** — სკკპ სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ვ. ა. ივაშკო** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ა. პ. მიასნიკოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, კორშუნოვსკის სამთომამდიდრებელი კომბინატის ესკალატორის მემანქანე, ირკუტსკის ოლქი; **ვ. გ. ანუფრიევი** — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი; **ე. ა. შევარდნაძე** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი; **ა. ა. ბელიაევი** — სკკპ ცენტრალური სარედაქციო კომისიის წევრი, გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ მთავარი რედაქტორი; **ვ. ვ. ნიკიტინი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე; **ვ. ა. ვილეგჟანინი** — კამის დიდი სატვირთო ავტომობილების წარმოების გაერთიანების პარტკომის მდივანი, თათრეთის ასსრ; **ვ. ა. მედვედევი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ს. გ. არუთინიანი** — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ა. ი. სელეზნიოვი** — სკკპ კურსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ნ. ნ. სლიუნკოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ს. დ. ნიეტულაევი** — უზბეკეთის კომპარტიის ყარაყალპაყეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ს. ნ. ფიოდოროვი** — დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის „თვალის მიკროქირურგიის“ გენერალური დირექტორი; **ა. ნ. იაკოვლევი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ნ. თ. ტატარჩუკი** — სკკპ კალინინის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ს. ს. შატალინი** — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი; **გ. გ. გუმბაარიძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ვ. ა. კრიუჩკოვი** — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

7 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის მომმზადებელი სარედაქციო კომისიის სხდომების შესახებ

5 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სარედაქციო კომისიის პირველი სხდომა.

* * *

6 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით კომისიის სხდომებზე განაგრძეს იმ წინადადებების და შენიშვნების განხილვა, რომლებიც პლენუმის მონაწილეებს შეიტანეს სკკპ XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის გამო.

პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის შესახებ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1990 წლის 5 თებერვალს

ამხანაგებო, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ შევიკრიბეთ ფრიად მნიშვნელოვან პლენუმზე, რომელსაც დიდი ინტერესითა და მოუთმენლად ელოდნენ კომუნისტები, მთელი ჩვენი საზოგადოება. ცენტრალურ კომიტეტში შემოვიდა ათასობით წერილი წინადადებებითა და სურვილებთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრებისა და უპარტიერებისაგან, პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების, შრომითი კოლექტივების, მუშებისა და გლეხების, ინტელიგენციის, მეცნიერების, ვეტერანებისა და ახალგაზრდობისაგან. დეპეშები კვლავ მოდის. თქვენც იყავით კრებების და მიტინგების მოწმენი, რომლებზეც ხშირად სხვადასხვა პოზიციებიდან, მწვავედ და დაინტერესებით იხილავენ ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებს. მათ მონაწილეებსაც სურდათ შეეტყობინებინათ თავიანთი თვალსაზრისი პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის.

ყოველივე ეს ერთად აღებული თავისებური ფენომენია. მასში აისახება ღრმა ცვლილებები, რომლებიც უკვე მოხდა და ხდება ჩვენს საზოგადოებაში გარდაქმნის გზაზე, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში. **მთავარი, რაც დღეს ქვეყნის კომუნისტებსა და ყველა მოქალაქეს აწუხებს, — ეს არის გარდაქმნის ბედი, ქვეყნის ბედი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლი რევოლუციური ცვლილებების ახლანდელ, ალბათ, ყველაზე პასუხსაგებ ეტაპზე.**

საზოგადოებას სურს იცოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიცია და ამით განსაზღვრება ჩვენი პლენუმის მთელი მნიშვნელობა. მისთვის მზადდების დროს ჩვენს წინაშე კვლავ **დადგა პარტიის XXVIII ყრილობის მოწყობის ვადების საკითხი.**

გასული წლის დეკემბერში ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო ყრილობის მოწვევა ნახევარი წლით მოეახლოებინა, მაგრამ მოვლენები ისეთი ტემპით ვითარდება, რომ უნდა დავუბრუნდეთ ამ საკითხს. შეაფასა რა მთელი სიტუაცია და განიხილა კომუნისტთა და პარტიულ ორგანიზაციათა მიმართვები, პოლიტბიურომ თქვენს განსახილველად შემოიტანა წინადადება: სკკპ XXVIII ყრილობა გაიმართოს მიმდინარე წლის ივნისის დამლევს-ივლისის დამდეგს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს წინადადება მიღებული იქნება ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

ამასთან ყრილობას, ჩვენი აზრით, წინ უნდა უძღოდეს სისხლსავსე საანგარიშო-საარჩევნო კამპანია პარტიის ყველა რგოლში, ფართო დისკუსია სკკპ პლატფორმისა და ახალი წესდების პროექტის გამო. ანგარიშგება-არჩევნების დროს გადაწყდება მომწიფებული საკადრო საკითხები, შეიქმნება ახალი არჩევითი პარტიული ორგანოები. ეს იქნება უკვე სავსებით სხვა სიტუაცია ყრილობის მოწყობისათვის.

ახლანდელ პლენუმზე უნდა მივიღოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი ყრილობისადმი. ალბათ, ერთი თვის, სასურველია, სამი კვირის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში არა უფრო ამაზე გვიან, ჩვენ კვლავ შევიკრიბებით პლენუმზე, რათა განვიხილოთ ახალი წესდების პროექტი და ისიც გამოვაქვეყნოთ საყოველთაო განხილვისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ ყრილობისათვის მზადებაში იწყება გადამწყვეტი ფაზა. მკაფიოდ უნდა წარმოვადგინოთ, რატომ გახდა საჭირო მოგვახლოებინა პარტიის ყრილობის მოწყობა და რა მიგვაჩნია მის მთავარ ამოცანად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იყო გარდაქმნის ინიციატორი, მისი კონცეფციისა და პოლიტიკის გენერატორი. ამ საფუძველზე ქვეყანაში გაიშალა ღრმა რევოლუციური ცვლილებები, რომლებმაც მოიცვა ცხოვრების ყველა სფერო და მოსახლეობის ყველა ფენა.

გაიხსნა გზა საზოგადოების განახლებისაკენ, სოციალიზმის პოტენციალის გახსნისაკენ. პარტიამ შეძლო აესახა თეორიასა და პოლიტიკაში ქვეყნის მომწიფებული მოთხოვნილებანი და თანამედროვე მსოფლიო განვითარების რეალობანი. გაშლილი გარდაქმნის ფარგლებში სწრაფი, მასშტაბითა და სიახლით უჩვეულო ცვლილებები ხდება. ეს აყენებს ახალ-ახალ მოთხოვნებს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების და, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინაშე. არსებითად, ჩვენ ახლა მივუახლოვდით ისეთ მომენტს, როცა პარტიამ თავისი პოლიტიკა უნდა გაამდიდროს უკვე თვით გარდაქმნის დროს მომხდარი ცვლილებების, უკანასკნელ ხანს წამოჭრილი პრობლემების გათვალისწინებით.

აქ დაყოვნება ნიშნავს ჩამორჩენას, ინიციატივის დაკარგვას, გარდუვალად მოახდენდა ეს გავლენას თვით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაზეც, მის მიერ დაწყებულ რევოლუციურ ცვლილებათა ბედზეც. სვამს რა ასეთნაირად საკითხს, პოლიტბიუროო სულაც არ ამირებს მოახდინოს სიტუაციის დრამატიზაცია, ამ გადაწყვეტილებებს ტრაგიკული ხასიათი მიანიჭოს. ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, კარგად უნდა შევიგნოთ, თუ რა დროში ვცხოვრობთ, რა ამოცანებს ვწყვეტთ, პლატფორმის პროექტით ახალი დინამიკა მივანიჭოთ ჩვენს ბრძოლას. მოდით, კარგად ვიმუშაოთ ამ დოკუმენტზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

ნაკლებად მნიშვნელოვანი როდია იმის გაგებაც — ეს პრობლემის მეორე მხარეა, რომელიც ყრილობის მოახლოებას მოითხოვს, — რომ პარტია შეძლებს შესრულოს პოლიტიკური ავანგარდის მისია, თუ თავად რადიკალურად გარდაიქმნება, დაეუფლება თანამედროვე პირობებში პოლიტიკური მუშაობის ხელოვნებას, შეძლებს წარმატებით იმოქმედოს გარდაქმნის მთელ ძალებთან ერთად.

პარტიის განახლების ძირეული საკითხია იმის საჭიროება, რომ განიწმიდოს ყოველივე იმისაგან, რაც მას აკავშირებდა ავტორიტარულ-ბიუროკრატიულ სისტემასთან, რომელმაც დაღი დასვა არა მარტო მუშაობის მეთოდებს, პარტიის შიგნით ურთიერთობას, არამედ აგრეთვე იდეოლოგიას, აზროვნების წესს, თვით სოციალიზმზე წარმოდგენას. პლატფორმაში ნათქვამია: **ჩვენი იდეალია ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმი.** გამოხატავს რა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერესებს, ეყრდნობა მარქსის, ენგელსის, ლენინის დიად მემკვიდრეობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია შემოქმედებითად ავითარებს სოციალისტურ იდეებს თანამედროვე რეალიების შესაბამისად და მეოცე საუკუნის მთელი კოლოსალური გამოცდილების გათვალისწინებით.

პლატფორმაში მკაფიოდ არის მონიშნული, თუ რაზე უნდა ავიღოთ ხელი. ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებულ იდეოლოგიურ დოგმატიზმზე, დრომოჭმულ სტერეოტიპებზე საშინაო პოლიტიკაში და მოძველებულ შეხედულებებზე მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე, მთლიანად მსოფლიო განვითარებაზე. ყველაფერზე, რაც იწვევდა სოციალისტური ქვეყნების იზოლაციას მსოფლიო ცივილიზაციის საერთო ნაკადში, სოციალურად სხვა სამყაროსთან მუდმივი კონფრონტაციის ფორმით პროგრესის გზების გაგებაზე. ჩვენ უარს ვამბობთ იმ შესაძლებლობის წარმოდგენაზე, რომ სოციალიზმი ვაშენოთ წინასწარ შედგენილი სქემით, რომელიც უნდა ყოფილიყო მკაცრი ჩარჩო მასების ცოცხალი შემოქმედებისათვის, ხალხის მასების გადამწყვეტ როლზე ჩვენში ბევრს ლაპარაკობდნენ, საქმით კი უგულებელყოფდნენ სოციალისტური განვითარების ამ ნამდვილად განმსაზღვრელ ძალას.

პარტიის განახლება გულისხმობს პრინციპულ ცვლილებას მის ურთიერთობაში სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებთან, ხელის აღებას მათდამი მბრძანებლობისა და მათი ფუნქციების მაგვრობის გაწვევის პრაქტიკაზე. პარტიას განახლებად საზოგადოებაში შეუძლია იარსებოს და შეასრულოს თავისი ავანგარდული როლი მხოლოდ როგორც დემოკრატიულად აღიარებულმა ძალამ. ეს ნიშნავს, რომ მისი მდგომარეობა თავს არ უნდა მოვახვიოთ კონსტიტუციური დაკანონების მეშვეობით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რა თქმა უნდა, აპირებს იბრძოლოს მმართველი მდგომარეობისათვის, მაგრამ ამას მოიმოქმედებს მკაცრად დემოკრატიული პროცესის ფარგლებში, ხელს აიღებს ყოველგვარ სამართლებრივ და პოლიტიკურ უპირატესობებზე, შესთავაზებს თავის პროგრამას, დაიცავს მას დისკუსიებში, ითანამშრომლებს სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებთან, დღენიადაგ იქნება მასების შუაგულში, იცხოვრებს მათი ინტერესებითა და საჭიროებებით.

ფართო დემოკრატიზაციას, რომელიც **ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარეობს, თან სდევს პოლიტიკური პლურალიზმის ზრდა.** იქნება **სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები** და მოძრაობები. ამ პროცესს შეიძლება მოჰყვეს რაღაც ეტაპზე პარტიების დამკვიდრებულ იდეოლოგიურ კომუნისტური პარტია მზად არის იმოქმედოს ამ ახალ გარემოებათა შესაბამისად, ითანამშრომლოს და აწარმოოს დიალოგი ყველა ორგანიზაციასთან, რომლებიც დგანან სსრ კავშირის კონსტიტუციისა და მასში დამკვიდრებული საზოგადოებრივი წყობილების ნიადაგზე. ამავე დროს გულახლილად ვამბობთ, რომ ბოლნდელ გარდამტეხ ხანაში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შეუძლია შეასრულოს მაკონსოლიდირებელი, მაინტეგრირებელი როლი, უზრუნველყოს გარდაქმნის პროცესი მთელი ხალხის საკეთილდღეოდ.

პარტიის განახლება გულისხმობს მის ღრმა, ყოვლისმომცველ დემოკრატიზაციას, **დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის ხელახლა გაჯერებას დემოკრატიზმზე, პარტიული მასების ძალაუფლებაზე აქცენტით.** ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, როგორც მთლიანი ორგანიზაციის განმტკიცებას, აამაღლებს მის ავტორიტეტს ხალხში. ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯი უნდა გადაიდგას უკვე ყრილობისწინა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს, ყრილობის დელეგატთა არჩევნებზე. სწორად მიგვაჩნია პარტიის წევრთა მრავალი მოთხოვნა, რომ ეს იყოს ნამდვილი არჩევნები, რომელშიც გადამწყვეტი როლი მიეკუთვნებათ კომუნისტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

ამხანაგებო! რით ვხელმძღვანელობდით, რა რეალობანი გვაქვს მხედველობაში, როცა მომავალი პერიოდის ამოცანებს ვაყალიბებთ. თუ უფართოესი თვალსაზრისით ვილაპარაკებთ, საზოგადოების ახლანდელ მდგომარეობას ერთდროულად ახასიათებს როგორც უდიდესი შესაძლებლობანი წინსვლისათვის, ისე რეალური საშიშროებანიც. ერთიც და მეორეც არის.

შესაძლებლობანი იმიტომ, რომ გარდაქმნის პროცესები კვლავ ვითარდება, ათავისუფლებს ხალხის მძლავრ ენერგიას. გარდაქმნის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი დღემდე — ასეთია პლატფორმის კონსტატაციაც — ეს არის შეზარკილობისაგან საზოგადოების განთავისუფლება, რის მეოხებითაც მილიონობით საბჭოთა ადამიანმა შეიძინა მოქალაქეობრივი ღირსება და თავის ხელში იღებს სახელმწიფოს მართვას. ასეთი ტენდენცია გიზრდება, და მასში, საბოლოო ანგარიშით, არის პარტიის მიერ დაწყებული მთელი მუშაობის წარმატების საწინდარი და არა პანიკის საბაბი. მიმდინარეობს ახალი ეკონომიკური, პოლიტიკური სტრუქტურების შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი. ესეც კეთილნაყოფიერ გარემოს უქმნის ხალხის აქტიურობას, ცხოვრების ყველა სფეროში გარდაქმნის პროცესების გაშლასა და გაღრმავებას.

ამავე დროს, მივიწევთ რა წინ გარდაქმნის გზით, ვნახეთ, რომ კრიზისი, რომელმაც ქვეყანა მოიცვა, გაცილებით დრმა და სერიოზულია, ვიდრე ამის ვარაუდი შეიძლებოდა. ამით აიხსნება ბევრი რამ მომხდარიდან. გადმოხეთქა ათწლეულების მანძილზე საზოგადოებრივი ორგანიზმის ფიაღში დაბუდებულმა პრობლემებმა და წინააღმდეგობებმა. სამწუხაროდ, თავიდან ვერ ავიცილეთ გარდაქმნის დროს დაშვებული ხარვეზები და შეცდომები, და ამანაც გაართულა ვითარება. მას ახლა ახასიათებს სოციალური დაძაბულობა და შეშფოთება. გაჩნდა აპათიისა და გულაცრუების ელემენტები. ასეთია წინააღმდეგობრივი, მაგრამ რეალური სიტუაცია. არის საშიშროება, და პარტიამ ეს უნდა გაითვალისწინოს, რომ შეიძლება გამოჩნდნენ ავანტიურისტები, რომლებიც შეეცდებიან ექსპლოატაცია გაუწიონ წარმოქმნილ სიძნელეებს, სპეკულაციურად გამოიყენონ რეალური პრობლემები, მშრომელთა უკმაყოფილება. ასეთი საშიშროების ნიშნები არის, მათ შორის უკანასკნელ დღეებშიც. თავს იჩენს გარკვეული დაბნეულობა, მარცხმოსურნეობისა და ლიკვიდატორობის განწყობილებანი. ეს ნაკლები საშიშროება როდია, და არა მარტო პარტიისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვისაც. ჩვენ ზოგიერთებისაგან უკვე გვესმის, თითქოს მეტისმეტ სიმკაცრეს ვიჩენთ, გვინდა ხელეყოთ სოციალისტური წყობილების პირველსაფუძველები, და თითქოს არ არის სიძნელეებიდან სხვა გამოსავალი, თუ არა ძველი წესების დაბრუნება. სხვებისაგან

(დასასრული მე-2 გვ.).

საგაზაფხულო მინდორი გვიხმობს

ცოდნისკარელთა პერსპექტივები

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეთა მთელი შრომითი დღე საგაზაფხულო საზრუნავითაა სავსე. 150 ჰექტარზე სხლავენ ვაზს. ბევრი საშუაო აქვთ მებოსტნეებს, რომლებიც სათბურებს ჩითილების სარგავად ამზადებდნენ. ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურები კოლმეურნეობაში 20 ათას ჰექტარზე მოჰყავთ. სრული სვლით მიმდინარეობს ტექნიკის რემონტი.

ეს სურათი გვიამბობს ცოდნისკარელთა ერთ-ერთ ზამთრის დღეზე.

სურათზე: ამზადებენ სათბურებს. წინა პლანზეა მემინდვრეობისა და მებოსტნეობის მთავარი აგრონომი სეით მაჭარაშვილი და მებოსტნე ლევან ზურაბაშვილი.

საქინფორმის ფოტო.

დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

გრძელდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან:

ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე **გიორგი ამბროსის ძე გოგოლაძე** — ხაშურის ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოსაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე **ავთანდილ ვლადიმერის ძე სულაბერიძე** — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის № 4 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტი **რომან რაფდენის ძე გოცირიძე** — თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო ლ ო ს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი **გივი სარდიონის ძე ბაკურაძე** — თბილისის ფეიადი ბეჭდვის სტამბის შრომითი კოლექტივისაგან.

ნ. ი. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფესიული დაავადებების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ვერა ივანეს ასული ვაშაკიძე** — ინსტიტუტის შრომითი კოლექტივისაგან.

სახელმწიფო ვაჭრობისა და საომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ნოდარ მიხეილის ძე გავაშელი**— ამავე კომიტეტისაგან.

სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი დავითის ძე კანდელაკი** — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისაგან.

სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მოიჯარე **ილია ნასყიდას ძე ოტიაშვილი** — კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი **ვლადიმერ გიორგის ძე გოგოლაშვილი** — სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის კოლმეურნეობისა და საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივებისაგან.

საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე **ნუგზარ დვითიოს ძე შოშიაშვილი** — სიღნაღის რაიონის № 147 სიღნაღის საარჩევნო ოლქისაგან.

სახელმწიფო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე **ანდდი დიმიტრის ძე შეყილაძე** — ამ მაღაროთსამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

ჭიათურის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი **მერი ჯემალის ასული გაფრინდაშვილი** — ჭიათურის ქალთა საქალაქო საბჭოსაგან.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ხუტა მიხეილის ძე ბერულავა** — ხობის რაიონის ქარიატის საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

დუშეთის ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე **შალვა გიბრიელის ძე ბნითური** — ამავე საბჭოსაგან.

საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობის 24-ე ტერიტორიული საწარმოო გაერთიანების მეკაბელე **ვასილ ვასტანგის ძე გულაშვილი** — დუშეთის რაიონის ანანურის საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო კონსტრუქციათა კათედრის დარგობრივი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ნათელა ვლადიმერის ასული ყიფიანი** — ქ. თბილისის საბურთალოს ქალთა რაიონული საბჭოსაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ს. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების გამგე **მზეჭალა აკაკის ასული შანიძე** — ქ. თბილისის საბურთალოს ქალთა რაიონული საბჭოსაგან.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვთან არსებული თბილისის საწარმოო კოოპერატივის „აგრორემმანქანასერვისის“ ზეინკალი **ზურაბ ვარლამის ძე სამხარაძე** — ამ კოოპერატივის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის განყოფილების უფროსი **პეტრე ნიკოლოზის ძე ბაჭრაძე** — საჩხერის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი **ელიზო დავითის ასული ბერიძე** — საჩხერის მეფრინველეობის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

მწერალი **ლაშა რევაზის ძე თაბუკაშვილი** — საჩხერის რაიონული კულტურის სახლის შრომითი კოლექტივისაგან.

საჩხერის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი **ვაჟა აკაკის ძე გავაშელი** — საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ვანის რაიონის ციხისულორის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ეთერ ალექსანდრეს ასული ფანცულაია** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

„სპეტარის“ ვანის რაიონული სამმართველოს უფროსი **ელიზბარ ჯამბულის ძე ლომინაძე** — ვანის რაიონის ფერეთის საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

ჩოხატაურის რაიონის შუა განახლების საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი **დარეჯან ბესარიონის ასული ონიანი**— სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელი რეჟისორი **თენგიზ ეფგენის ძე ანფოსოვი**, კინოთეატრების „კომკავშირელის“, „ოქტომბრისა“ და ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის № 4 პოლიკლინიკის შრომითი კოლექტივებისაგან.

აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ჩხოროწყუს რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე **ტიტე გრიგოლის ძე შელია** — ამ კომიტეტისაგან.

ჩხოროწყუს რაიონის კირტხის XX პარტყრილობის სახელობის სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის სასუქებელი კომბეურნეობა-კომბლექსის გამგეობის თავმჯდომარე **ვალერი ლეონტის ძე ინორია** — კოლმეურნეობა „კომბლექსის“ შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი **ჯუმბერ პლატონის ძე მარიაშვილი** — ასპინძის რაიონის სოფელ ოშორის ვ. სტურუას სახელობისა და სოფელ დამალის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობების, რაიონის საგზაო სამმართველოს შრომითი კოლექტივებისაგან.

ასპინძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ავთანდილ ვალერიანის ძე ბერიძე** — ასპინძის ბავშვთა სახლის შრომითი კოლექტივისაგან.

(დასასრული მე-4 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 87 წლისა გარდაიცვალა 1917 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკის თვალსაჩინო პარტიული და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ნიკოლოზ ბარნაბის ძე მასარაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

(დასასრული)

პირიქით, — თითქოს სოციალისტური წყობილების პოტენციალის გამოვლენისათვის გამიზნული რეფორმები განწირულია მარცხისათვის, და ქვეყნის ერთადერთი ხსნა კაპიტალიზციაა.

შეიძლებოდა ამაზე არაფერი გვთქვა, საქმე რომ მხოლოდ აბსტრაქტულ თეორიულ დავას ან პოლიტიკურ წრეებში კამათს ეხებოდეს. მაგრამ ამგვარი დესტრუქციული მსჯელობანი, რომლებიც საზოგადოებაში აღწევს, თავგზას უბნევს ბევრს, უარყოფით გავლენას ახდენს პოლიტიკურ ატმოსფეროზე, ხელს გვიშლის ვზედავდეთ გარდაქმნის პროცესის მიმდინარეობას სწორი პერსპექტივით. ჩვენ უნდა ვიცოდეთ: როგორც კონსერვატიული, ისე მემარცხენე რადიკალური ყაიდის პოლიტიკური გეზების კრისტალიზაციის პროცესი უკანასკნელ ხანს დაჩქარდა. სწორედ ამიტომაც, ამხანაგებო, ახლა უაღრესად საჭიროა — მინდა ერთხელ კიდევ გავუსვა ამას ხაზი — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლატფორმა, რომელსაც შეუძლია მოგვცეს მკაფიო პოლიტიკური ორიენტირები, დარაზმოს საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალები რევოლუციურ ცვლილებათა მიზნებისა და ამოცანების გარშემო.

თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო იმას, რომ **შემოთავაზებული პლატფორმის ღერძია მიდგომა სოციალიზმის განახლების გზაზე საბჭოთა საზოგადოების უახლოესი და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისადმი.** ჩვენ კვლავ ერთგული ვართ 1917 წლის ოქტომბერში მოხდენილი არჩევანისა, სოციალისტური იდეისა, მაგრამ უარს ვამბობთ მის დოგმატიურ გაგებაზე, იმაზე, რომ სქემატურ მსჯელობებს ვანაცვალოთ ადამიანთა რეალური ინტერესები. ამოცანად ვსახავთ თანდათან შევასხათ ხორცი სოციალური სამართლიანობის პრინციპს, სწრაფ სასწაულზე უმცირესი ილუზიებისა და ვარაუდების გარეშე. ვაპირებთ ეს მოვიმოქმედოთ წარსულის ცრურწმენებისა და სხვადასხვა იდეოლოგიური ტაბუს უარყოფის საფფძველზე, გამოვიყენოთ ყოველივე ღირებული, რაც აქვს სხვა საზოგადოებებს, მათს ეკონომიკასა და სოციალურ სფეროს, პოლიტიკურ ცხოვრებას, წარმოებისა და ყოფის ორგანიზაციას, მეცნიერებასა და ტექნიკას, კულტურას, სულიერ და ინტელექტუალურ შემოქმედებას.

თქვენ, ალბათ, ყურადღება მიაქციეთ პლატფორმის აგების თავისებურებას. ჩვენ პრინციპულად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მასალის დალაგებაშიც კი გვეჩვენებინა, რომ ამიერიდან და სამუდამოდ პარტიის პოლიტიკის ცენტრში იქნება ადამიანი და მისი კეთილდღეობა, რომ უწინარეს ყოვლისა ამ კრიტერიუმით უნდა იზომებოდეს სოციალისტური გზით წინსვლის წარმატებანი. პლატფორმა იწყება საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების, პიროვნების თავისუფლების ჩამოყალიბებით.

ალბათ, ამხანაგებმა ყურადღება მიიპყრეს იმასაც, რომ მოქალაქეთა უფლებებთან ერთად ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა მივიღოთ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანთა სულიერი სამყაროს გამდიდრებას, საზოგადოების განათლებისა და ზოგადი კულტურის გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, განვითარების ეს ფაქტორი ჩვენში უკანა პლანზე გადავიდა და მას ლმის სამრეწველო ზრდის ციფრების დანამატად განიხილავდნენ. ეს სერიოზული ჩამორჩენის ფასად დაგვიჯდა. და ამ ჩამორჩენას კიდევ კარგა ხანს ვერ დავაღწევთ თავს. ჩვენ ლამის ყველაზე გვიან მივხვდით, რომ ინფორმატიკის ხანაში ყველაზე ძვირფასი კაპიტალია ცოდნა, თვალსაწიერისა და შემოქმედებითი წარმოსახვის ფართო გასაქანი. იმისათვის, რომ ავინაზღაუროთ დანაკლისი, ამთავითვე არ უნდა დავშუროთ სახსრები მეცნიერების, განათლების, კულტურის, ხელოვნების — ყოველივე იმისათვის, რაც აღამაღლებს ადამიანს და ამავე დროს ზრდის მის შრომის ნაყოფიერებას.

პერესპექტიულ საკითხებთან ერთად პლატფორმის პროექტში წამოყენებულია ქვეყნის თანამედროვე მედგომარეობასთან დაკავშირებული გადაუდებელი ამოცანები. მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ 1989 წელს გადავივლიდით კრიზისული განვითარების პიკს, მაგრამ ბოლოდროინდელმა ამბებმა ცხადყო, რომ სასიკეთო გარდატეხა ჯერჯერობით არ მომხდარა. ახლახან გამოქვეყნებულმა სამეურნეო განვითარების გასული წლის შედეგებმა ერთხელ კიდევ ცხადყო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების წინააღმდეგობრივობა. ერთი მხრივ, შეიმჩნევა მცირეოდენი ზრდა მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით, და ეს — გაფიცვებით, ეთნიკური კონფლიქტებით, დისციპლინის დაქვეითებით და უყაირათობით გამოწვეული მნიშვნელოვანი დანაკარგების მიუხედავად. მეტია წარმოებული სურსათი, სახალხო მოხმარების საქონელი. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ კიდევ უფრო მოიმატა სამომხმარებლო ბაზარი, იზრდება დეფიციტი და რიგები, სუსტდება მანეთის მყიდველობითი უნარი. სიტუაციას ამძაფრებს ფარული ეკონომიკის საქმოსნებისა და დანაშაულებრივი ელემენტების აქტიურობა.

საბჭოთა ადამიანების განსაკუთრებით დიდ უკმაყოფილებას იწვევს სურსათთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა. აქ პრინციპულად უნდა დაისვას საკითხი. ჩვენ შევიმუშავეთ ნოვატორული აგრარული პოლიტიკა, მოვიწონეთ იგი მარტის პლენუმზე. მიგვიჩნია, რომ ეს არის პროგრესული პოლიტიკა და იგი სახავს სასურსათო კრიზისიდან თავის დაღწევის რეალურ გზებს. მთავარი, რაც საჭიროდ ცნო პლენუმმა, ის არის, რომ გაუქმდეს ყოველგვარი შეზღუდვები მიწათმეურნეობის ნაირგვარი ფორმების გამოყენებაში. ეს დასკვნა გამოვიტანეთ ბევრი კოლექტივის გამოცდილების საფუძველზე. მთელმა რიგმა ოლქებმა შეძლეს პრაქტიკულად დაეცხროთ სასურსათო ბაზაზე შექმნილი მდგომარეობის სიმძაფრე. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მასშტაბით სურიოზული გარდატეხა არ მომხდარა. და მიზეზი ის გახლავთ, რომ ბევრ ადგილობრივ მუშაკს ჯერაც ვერ დაუღწევია თავი ძველი მიდგომებისა და მეურნეობრიობის მეთოდების ტყვეობისათვის.

დიახ, არ გვყოფნის რესურსები, ტექნიკა. დიახ, სხვა მასშტაბითა და სხვა ტემპით უნდა წარვმართოთ სოციალური გარდაქმნები. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ქვაკუთხედად უნდა მივიჩნიოთ სოფლად წარმოებითი ურთიერთობის გარდაქმნა. და ახლა საქმეს აბრჭოლებს უწინარესად ჩვენი კადრების პოზიცია ცენტრში და ადგილებზე. ეს უკვე სამეურნეო კი არა, პოლიტიკური საკითხია. მიწათმოქმედს უნდა მოვაცილოთ გზიდან მთელი დაბრკოლებები, გავუხსნათ ხელ-ფეხი, სწორედ ასეა დაყენებული საკითხი პლატფორმის პროექტში.

სურსათი სამომხმარებლო ბაზრის ნორმალიზაციის პრობლემის მხოლოდ ნაწილია. პროექტში ხაზგასმით არის აღნიშნული ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის გაჯანსაღების, მანეთის მყიდველობითი უნარის განმტკიცების ღონისძიებათა კომპლექსის, როგორც უახლოესი ორი წლის გადაუდებელი ამოცანის მნიშვნელობა.

მართალია ჩვენ გვქონდა დისკუსია: რამდენად მიზანშეწონილია ამ საკითხების დეტალური დაკონკრეტება? რაც უნდა იყოს, ჩვენ სჯა-ბაასი გვაქვს პარტიის პლატფორმაზე, პოლიტიკურ ორიენტირებზე, და განა საჭიროა იმის გამეორება, რასაც შეიცავს სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე განხილული მთავრობის პროგრამა. პრინციპულმა დებულებებმა თითქოს შთანთქესო ეს საკითხები. მაგრამ ისინი იმდენად მწვავეა, რომ ხალხი შეიძლება განაწყენდეს, თუკი ვერ ნახა გარკვეული კონკრეტიკა. ამიტომ უდაოდ ღირს ერთმანეთს გავუზიაროთ აზრი და შევიტანოთ სიცხადე ამ საკითხში.

ვფიქრობ, აქ დღემდე გვაკლდა სიმტკიცე, და ეს უნდა დავძლიოთ. საქმე ეხება, კერძოდ, მთავარ გამორჩენილ რგოლს, რომლის გამოც ერთ ადგილს ტკივანის მთელი ეკონომიკური რეფორმა, — ფასწარმოქმნის სისტემა. უნდა დავაჩქაროთ ამ პრობლემის გადაჭრა. თანაც პარტია პრინციპულ პოზიციაზე რჩება: ფასწარმოქმნის რეფორმა ისე უნდა გავატაროთ, რომ ამან არ დაასვას დაღი მოსახლეობის, მეტადრე ხელმოკლე ფენების ცხოვრების დონეს.

მეტს მართლა ვეღარ შევურიგდებით უყაირათობის აღმაშფოთებელ გამოვლინებებს. განა შეიძლება მოველოდოთ ეფექტიანობას კრედიტებისაგან, რომელთა პროცენტების გაგონებაზე პირდაპირ ბალეკინება კაცს? ჩვენში ისეთი პროცენტებია, როგორსაც მთელ დედამიწის ზურგზე ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავ. ისეთია, რომ არავის არ ეჩქარება ვალის გასტუმრება, იმიტომ, რომ ეს პროცენტები, კაცმა რომ თქვას, არაფერს არ ცვლის. ამიტომაც ვერ ჭრის კრედიტი, ვერ ჭრის მანეთი. ასე არ ივარგებს!

განა დასაშვებია, რომ ყოველწლიურად სახალხო მეურნეობაში სასაქონლო-მატერიალური მარაგი მილიონობით მანეთით იზრდება? უკვე ისახელებენ ციფრებს — საწარმოებში 200 და 240 მილიარდი მანეთის ზენორმატიულ მარაგს! და ეს იმ დროს, როდესაც ქვეყანაში მთელი ამბავია — არ გვყოფნის რესურსები. უფრო მეტიც, არ გვყოფნის ბაზარზე ელემენტარული საქონელი. მაშასადამე, ისევ არა გვაქვს მექანიზმი, რომელიც საწარმოებს მისცემდა სტიმულს. ჰქონდათ იმდენი რესურსები, რამდენიც სჭირდა, ხოლო ყოველივე დახარჯეს კი მოეცილებინათ თავიდან. განა შეიძლება ეკონომიკური რეფორმის წარმატების იმედი გვქონდეს, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ზოზინმშენია? ჩვენ გვახსოვს, რა შესაშური სიჯიუტით ამტკიცებდნენ სახელმწიფოო საგეგმო კომიტეტის წარმომადგენლები 1990 წლის გეგმის პროექტის განხილვისას, მეტი აღარ შეიძლებოა კაპიტალური მშენებლობის ფრონტის შემცირება. მარტო გასული წლის მახვილზე ზენორმატიული დაუმთავრებელი ობიექტების ღირებულებამ 20 მილიარდი მანეთით მოიმატა და ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ნაციონალისტურმა ძალებმა შეძლეს აეყოლებინათ ადამიანები. ამას ჩვენც უნდა დავუფიქრდეთ. როგორც ჩანს, ცენტრმა არ გამოიყენა მთელი თავისი შესაძლებლობანი და ავტორიტეტი, რათა ეფექტიანი გავლენა მოეხდინა რესპუბლიკებში გარდაქმნის მიმდინარეობაზე, მხარი დაეჭირა მისი მომხრეებისათვის.

მე უკვე ვთქვი, რომ მტკიცე მოქმედების მეთხებით შევძელით თავიდან აგვეცილებინა უფრო მეტი ტრაგედია. საფრთხე შეექმნა მრავალი ათასი ადამიანის უშიშროებას და ეს არის მიღებულ გადაწყვეტილებათა მთავარი მოტივი. მაგრამ, გარდა ამისა, საქმე ის გახლავთ, რომ ნაციონალისტურმა, ანტისაბჭოურმა დაჯგუფებამ აშკარად ხელყვეს კონსტიტუციური წყობილება, ისინი მოისწრაფოდნენ ძალაუფლებისაკენ, ცდილობდნენ დაემყარებინათ არა დემოკრატია, არამედ უხეში ძალისა და აგრესიული ნაციონალიზმის დიქტატურა. ეს იყო არსებითი ძალადობრივი გადატრიალება. ეს — არც მეტი, არც ნაკლები. საამისოდ მომზადებული იყო ყველა სტრუქტურა, უწინარეს ყოვლისა, სამხედროები. და როდესაც ცალკეული პოლიტიკური ძალები ცდილ[illegible] თავი მოუქმნონ აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ამ ნაწილს, ეს მხოლოდ იმის დამადასტურებელია, [illegible] მიზნებს ისახავენ თავად ისინი.

ჩვენ სამძიმარს ვუცხადებთ ყველა სომეხს, აზერბაიჯანელს, რუსს, სხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებსაც ამ ტრაგიკულ დღეებში ახლობლები დაეღუპათ და თავადაც დაზარალდნენ. პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს იღონებენ, რათა შეუმსუბუქონ ტანჯვა-ვაება ლტოლვილებს და დაეხმარონ მათ დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას.

საბჭოთა არმიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ჯარისკაცებმა ოფიცრებმა ხალხს წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, სიმტკიცე, ვაჟკაცობა გამოიჩინეს და ამის მეოხებით თავიდან აიცილეს სისხლისღვრის ესკალაცია, იხსნეს ათასობით სიცოცხლე, შექმნეს წანამძღვრები რეგიონში ვითარების დაცხრობისათვის. ახლა მთავარია, რას იზამენ ორი რესპუბლიკის ხალხები, მათი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობა. მათს მოქმედებაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად აღდგება ნორმალური ცხოვრება და შეწყდება საგანგები წესები. რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გადაიჭრას მთიანი ყარაბაღის პრობლემები, ყოველ შემთხვევაში, გადაუდებელი, უპირველესი, და ის პრობლემები, რომლებიც მასთან დაკავშირებით წამოიჭრა, კონსტიტუციური პრინციპების, მათ შორის აზერბაიჯანის მთლიანობის უცილობელი დაცვით.

ამხანაგებო! გარდაქმნისათვის ბრძოლის ლოგიკამ ჩვენ ახალ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანა. უახლოეს ხანს სსრ კავშირის უზენაესი საბჭო მიიღებს კანონებს საკუთრების, მიწის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის, საგადასახადო სისტემის, კავშირისა და რესპუბლიკების კომპეტენციის გამიჯვნის შესახებ, სხვა ფუნდამენტურ საკანონმდებლო აქტებს. დაიწყო პოლიტიკური რეფორმის მეორე ეტაპი, რომელიც მოიცავს ხელისუფლების ორგანოების ფორმირებას რესპუბლიკებში და ადგილებზე. თანდათან გამოიკვეთა ახალი საბჭოთა ფედერაციის რეალური კონტურები. არსებითად, იქმნება მთელი ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმები, ხელისუფლების ორგანოების ახალი სისტემითურთ, რომლისთვისაც დამახასიათებელია ღრმა დემოკრატიზაცია და თვითმმართველობის საწყისების განვითარება.

საზოგადოება ნამდვილად გადადის ახალ თვისებრივ მდგომარეობაში. მაგრამ პროცესები, რომელიც პარტიამ შეგნებულად გამოიწვია და რომლებიც უდავოდ გამოიღებს პოზიტიურ ნაყოფს, როგორც უკვე ვხედავთ, არ არის დაზღვეული უსტაბილობის, მმართველობის შესუსტების, ცენტრიდანული ტენდენციების გამოვლინებებისაგან. უნდა ითქვას, საზოგადოებაში ეს უკვე იგრძნობა, და აშფოთებს ადამიანებს, ვერ გაუგიათ ასეთი მოვლენები. ახლა სტრატეგიული ამოცანების თვალსაზრისით და ამჟამინდელ რეალობათა შესაბამისად საჭირო ზდება მოეწყოს ძალთა დაჯგუფება ხელისუფლების ზედა ეშელონში იმ მიზნით, რომ უზრუნველვყოთ გარდაქმნის პროცესების დინამიზაცია, მივიღოთ მათი შეუქცევადობის უფრო მტკიცე გარანტიები. და ამავე დროს მოვახდინოთ შემაკავებელი ზემოქმედება დესტრუქციულ ტენდენციებზე, გზა გადაეუღობოთ ყოველივეს, რაც ართულებს და აბრკოლებს საზოგადოების განახლებას. საქმე ეხება ეკონომიკის სფეროში მიმდინარე პროცესებს და ეროვნებათშორის ურთიერთობას, რომელიც დაკავშირებულია ადამიანთა უსაფრთხოებასთან, წესრიგთან და დისციპლინასთან.

უნდა დავძინოთ, რომ ეს საკითხი უკვე ფართოდ განიხილება. ადამიანები მიესალმებიან იმას, რაც გაკეთდა საკანონმდებლო ორგანოების როლის გაძლიერების, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნის მიზნით. ამავე დროს გამოთქმება აშკარა უკმაყოფილება გადამჭრელი მოქმედების დეფიციტის გამო იქ, სადაც იგი საჭიროა. ისმება საკითხი შეიქმნას პრეზიდენტობის ინსტიტუტი გარდაქმნის პროცესის განხორციელებისათვის ყველა საჭირო უფლებამოსილებით. პლატფორმის პროექტში ამაზე, ბუნებრივია, მოკლედ არის ნათქვამი, ხაზგასმულია მხოლოდ ის, რომ საჭიროა გადაუდებელი მოქმედება. ვფიქრობ, ეს პრობლემა იმსახურებს ცენტრალური კომიტეტის ან პლენუმის მიერ განხილვას. ჩვენ უფლება არა გვაქვს დავუშვათ, რომ გარდაქმნის განვითარებას, მასთან დაკავშირებული გეგმებისა და ჩანაფიქრების განხორციელებას საფრთხე შეექმნას.

ახლა არ ვეხები პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმის სხვა საკითხებს, რომლებიც თუმცა კონცენტრირებულად, მაგრამ საკმაოდ სრულად არის ჩამოყალიბებული პლატფორმის პროექტში. ისინი ჩამოყალიბებულია XIX პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით და, რა თქმა უნდა, იმ ნაბიჯად განვლილი დროის მანძილზე ჩვენი საზოგადოების მიერ შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით. ჩვენი განვითარების მთავარი მიმართულება კვლავ არის დემოკრატიზაცია, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობისა და თვითმართვადი სოციალისტური საზოგადოების შექმნა.

ამხანაგებო! პლატფორმის პროექტში, ბუნებრივია, აუცილებლად უნდა შეეხებოდით გარდაქმნის საერთაშორისო ასპექტს, მსოფლიოზე თანამედროვე შეხედულებას, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ სტრატეგიას. საერთაშორისო საქმეებში საბჭოთა კავშირის კურსმა, რომელიც ახალ აზროვნებაზეა დაფუძნებული, ძლიერი იმპულსი მიიღო პარტიის XXVII ყრილობაზე, უფრო მოცულობითი, კონკრეტული სახე შეიძინა გარესამყაროსთან კონტაქტების ხასიათის შეცვლის კვალობაზე, პოულობდა პრაქტიკულ ხორცშესხმას.

მისი საფუძვლები და პრინციპები ჩამოყალიბებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1988 წლის დამლევს. ახალი საგარეო პოლიტიკა კანონმდებლური წესით არის დამკვიდრებული მთელი ხალხის სახელით სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და უზენაესი საბჭოს დოკუმენტებში. პლატფორმის პროექტში აღნიშნულია, თუ რა ამოცანები უნდა გადაწყვეტოთ საერთაშორისო საქმიანობის ყველა მიმართულებით ახლა და თვალსაწიერ მომავალში. ამრიგად ვეგებებით რა XXVIII ყრილობას, ვადასტურებთ ჩვენს ნოვატორულ, ნამდვილად გარდაქმნის, საგარეო პოლიტიკას. მან ფართო გამოხმაურება და აღიარება პოვა მთელ მსოფლიოში და უკვე არსებითად გააჯანსაღა საერთაშორისო ვითარება. სწორედ ასეთი პოლიტიკა შეესაბამება ჩვენს საშინაო მოთხოვნილებებს, განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციებსა და პრესტიჟს, ხელს უწყობს ცივილიზებული ურთიერთობის ფორმირებას მთელ მსოფლიოში, აკაცრირებს აახლოებს მისი განვითარების მშვიდობიან პერიოდთან.

ახლა ჩვენთვის მთავარია წინწაწიოთ განიარაღების შესახებ მოლაპარაკების პროცესი, გავაღრმაოთ დიალოგი და ურთიერთგაგება საერთაშორისო განვითარების გადამწყვეტ უბნებზე, ყოველმხრივ შეეფწყოთ ხელი ევროპელი სახლის მშენებლობაში პირველი მარაგნაკეთის გაფართოებაგანმტკიცებას. და მის ფარგლებში სრულყოთ სამოკავშირეო ურთიერთობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რომლებსაც ეს ნამდვილად სჭირდებთ. ასეთ მიდგომას გაგებით ეკიდება და საპასუხო ნაბიჯებს დგამს მათი ახალი ხელმძღვანელობა.

პლატფორმის პროექტში ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრინციპული მიდგომები უშიშროების საკითხებისადმი, თავდაცვისადმი, და აღნიშნულია, რომ საჭიროა საქმე წარვმართოთ სამხედრო რეფორმისაკენ. ახლა მინდა შევეხო საკითხის ერთ-ორ ასპექტს. ვაპირებთ კვლავაც განვახორციელოთ განიარაღების გეზი შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, მოლაპარაკების ფარგლებში. რეალურად ვიფასებთ რა საერთაშორისო ვითარებას, ვითვალისწინებთ როგორც პოზიტიურ მომენტებს მის განვითარებაში, ისე არსებულ საშიშროებასაც. დიახ, ვითარება მსოფლიოში უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა, მაგრამ ომის საფრთხე ჯერ კიდევ არის. ძალაში რჩება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს დოქტრინები და კონცეფციები, რომლებიც სულაც არ არის თავდაცვითი, არსებობს მათი არმიები და სამხედრო ბიუჯეტები. ამიტომ კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი შეიარაღებული ძალები გვჭირდება. რა თქმა უნდა, მათ ესაჭიროებათ სრულყოფა, გარდაქმნა, მაგრამ მათი დაკომპლექტების პრინციპის შეცვლას, მთლიანად მათ მშენებლობას უნდა ვუდგებოდეთ მეტი პასუხისმგებლობით, მსოფლიოში სიტუაციის ცვლილებების კონტექსტით.

ჯარებისა და შეიარაღების ახლანდელ და შესაძლო შემცირებასთან დაკავშირებთან წამოიჭრა ზოგიერთი საკითხი. კერძოდ, გამოითქმება შიში იმის გამო, რომ ხომ არ ასუსტებს ეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. როგორც ჩანს, საჭიროა დამატებითი ახსნა-განმარტებანი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ შეიარაღებული ძალების შემცირება და რეორგანიზაცია ხორციელდება ზუსტად თავდაცვისათვის, საიმედო თავდაცვისათვის გონივრული საკმარისობის პრინციპის შესაბამისად.

მწვავედ დადგა მთელი რიგი სოციალური პრობლემები, განსაკუთრებით სამხედრო მოსამსახურეთა და თადარიგში გასულ ან გადამდგარ პირთა ბინით უზრუნველყოფის, მათი შრომითი მოწყობის პრობლემები. თავდაცვის სამინისტრო ამას მარტო ვერ გადაწყვეტს. მთავრობამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც რამდენადმე ანელებენ საკითხთა სიმწვავეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ოფიცრებსა და მათ ოჯახებს თავიდან ავაცილოთ უკანასკნელ ხანს წარმოქმნილი სოციალური დაუცველობის შეგრძნება. უნდა მივაღწიოთ ამ გადაწყვეტილებათა შესრულებას. აგრეთვე საჭიროდ მიგვაჩნია მოვამზადოთ და დავამტკიცოთ სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა, აგრეთვე თადარიგში დათხოვნილ ოფიცერთა და პრაპორშჩიკთა სოციალური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა.

და კიდევ ერთი სერიოზული საკითხი. იგი ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არმიისა და ფლოტის ცხოვრების გაშუქებას. იგი უნდა იყოს ალალ-მართალი, პატივისმცემლური საბჭოთა არმიისადმი, ჯარისკაცთა და ოფიცერთა მბედრული სამშობლოსადმი. ვერ დავეთანხმებით ანტიარმიულ პროპაგანდას, ჩვენი ხალხი არ დაუშვებს და არც დაეთანხმება ამას. მაგრამ ეს არ ხსნის იმას, რომ ჩვენი არმიის ფუნქციონირების საკითხებიც უნდა იყოს საზოგადოებაში დემოკრატიული განხილვის საგანი. ამხანაგებო, ჩემი გამოსვლის დასაწყისში ჩამოვაყალიბე არგუმენტაცია იმის შესახებ, რომ ხელახლა უნდა გავიაზროთ პარტიის როლი საზოგადოებაში მისი განვითარების ახლანდელ ეტაპზე, გარდაქმნის, პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებს შორის ფუნქციათა გამიჯვნის პირობებში. როგორც ჩანს, უნდა დაგვეფიქსირებინა ცენტრალური კომიტეტის პოზიცია ამ კარდინალურ საკითხზე, მაგრამ პრინციპული თვალსაზრისით ჩვენ პლატფორმაში გვერდს ვერ ავუვლით პარტიის განახლების ის ასპექტებსაც, რომლებიც ეხება მის შინაგან გარდაქმნას. უამისოდ იგი ვერ შეძლებს თანამედროვე პირობებში ხორცი შესასხას ავანგარდული პოლიტიკური ძალის თავის პოტენციალს. პროექტი შეიცავს მთელ რიგ წინადადებებს ამის შესახებ. რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც პარტიის საშინაო ცხოვრებას ეხება, ვრცელად უნდა წარმოადგინოს წესდებამ. მაგრამ მაინც პლატფორმაშიც, რაკი საქმე ეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ როლს, უნდა შევიტანოთ ძირითადი დებულებანი.

თვით პარტიის გარდაქმნის ქვაკუთხედი იდეა — მინდა, ამხანაგებო, ეს ერთხელ კიდევ ვთქვა — ეს არის **პარტიული მასების ძალაუფლების დამკვიდრება.** ამასთან დაკავშირებით ახლებურად უნდა გავიგოთ პირველადი პარტორგანიზაციების როლი: იმაში, რაც ეხება პარტიაში მიღებასა და მისგან გამოსვლას, საწევრო შესატანების გამოყენებას, პარტიის, როგორც პოლიტიკური ავანგარდის, ახალ როლთან დაკავშირებული ამოცანების რეალიზაციას და ბევრ სხვა რამეს. ახლებურად უნდა გავიაზროთ რაიონული და საქალაქო რგოლის როლი, არსებითად გავაფართოოთ მათი უფლებები. ჩვენ უნდა შევიტანოთ ისეთი ცვლილებები ყველა დონის პარტიული ორგანოების ფორმირების სისტემაში, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნისტთა გადამწყვეტ სიტყვას.

გვჭირდება არჩევნების ახალი ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც აგრეთვე დამკვიდრებული იქნება წესდებაში. ჩვენ შევთანხმდით, რომ პარტიული მშენებლობის საკითხთა კომისიაზე განხილვის შემდეგ წინადადებებს ამის შესახებ გადავცემთ ცენტრალური კომიტეტის წევრებს, პლენუმის მონაწილეებს.

მომავალ წესდებაში მკაფიოდ უნდა ითქვას კომუნისტების წინაშე თავიდან ბოლომდე ყველა არჩევითი ორგანოსა და არჩევითი ორგანოების წინაშე აპარატის ქვაკონტროლობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ. ჩვენ დიდი ხანია გვაწუხებს საკითხი, რომ პარტიის საშინაო ცხოვრება, მისი ფუნქციონირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრებს არ აძლევს შესაძლებლობას რეგულარულ, სისტემატურ საფუძველზე მონაწილეობდნენ მისი პოლიტიკის ფორმირების პროცესში. ამის შესახებ ბევრი რამ თქმულა, როგორც იტყვიან, კეთილი სურვილებით ნაგზარი არა გვაქვს. მაგრამ [illegible] ბოლომდე მოფიქრებული არ არის, თუ სახელდობრ როგორი მექანიზმი უნდა შევქმნათ იმისათვის, რომ პრაქტიკულად შევასახათ ხორცი ამ იდეას. ეს არის ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც უნდა განვიხილოთ წინასაყრილობო დისკუსიაში პარტიის ახალი წესდების მომზადების დროს.

თავდაპირველი გეგმით მე საკითხს ასე დავაყენებდი — კომუნისტთა ზემოქმედება ზემდგომ ორგანოების, ამასთან ცენტრალური კომიტეტის მუშაობაზე. გადამწყვეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რეალურად იქნება უზრუნველყოფილი მათი შესაძლებლობა ამ ორგანოებში გზავნიდნენ თავიანთ წარმომადგენლებს, იმათ, ვისაც ენდობიან, ნამდვილ ლიდერებს, გარდაქმნის აქტიურ დამცველებს. ჩვენ, ამაში დარწმუნებული ვარ, მხარი უნდა დავუჭიროთ იმას, რომ პარტიის ყველა არჩევითი ორგანოში, მათ შორის სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მძლავრად იყვნენ წარმოდგენილი ყველაზე აქტიური, პარტიაში ცხობილი მოწინავე მუშები და გლეხები. და მეორე. მეტი მასშტაბით, ვიდრე დღეს არის, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პარტიის ხელმძღვანელობის, მათ შორის ცენტრალური კომიტეტისა და მის მიერ არჩეული ორგანოების საქმიანობის საჯაროობა. მაშინ, მართლაც, თუ ლენინის გამონათქვამს გავიმეორებთ, კომუნისტებს ეცოდინებათ ყველაფერი და ყველაფერზე იმსჯელებენ შეგნებულად, გამოიტანენ დასკვნებს, შეიტანენ წინადადებებს.

ვფიქრობთ, ვაფასდეთ კომუნისტთა რეალურ მონაწილეობას პოლიტიკის ფორმირებაში. იმითაც, რომ პარტიულ ორგანოებს შეიმუშაონ თავიანთი პლატფორმები საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა პრობლემაზე ამა თუ იმ რეგიონის კონტექსტით. საქმე ისე უნდა წარვმართოთო, რომ კომუნისტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა რეალურად მონაწილეობდნენ ამ დოკუმენტების მომზადებაში, მათ განხილვასა და მიღებაში.

ამით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება პარტიული დემოკრატიის პრობლემები. გამოვთქვით რა ზოგიერთი მოსაზრება, მინდოდა ყურადღება მიმეპყრო მათი გადრმავებული დამუშავებისადმი წინა საყრილობო დისკუსიის დროს.

პლატფორმის პროექტი შეიცავს წინადადებას უმაღლესი პარტიული ინსტანციების სტრუქტურის შეცვლის შესახებ. საქმე, გასაგებია, ის კი არ არის, რომ ახალი სახელწოდებებით დავადასტუროთ მზადყოფნა განახლებისათვის. წინადადებათა არსი ის არის, რომ გავაძლიეროთ დემოკრატიზმის ფაქტორი პარტიის ზედა ფენებში, მის ხელმძღვანელ რგოლებში. ამავე დროს შევქმნათ მათი, როგორც მომუშავე კოლექტივების, საქმიანობის უკეთესი პირობები.

შეიძლება იკითხონ: კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა შემცირდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიცხოვნობა? მოდით განვიხილოთ ეს. ჩვენ იმით ვხელმძღვანელობდით, რომ უწინარეს ყოვლისა ცენტრალური კომიტეტი ვალკეოთ მუდმივ საფუძველზე მოქმედ საფუძველზე მოქმედ ორგანოდ. საჭიროა აგრეთვე ხელი ავიღოთ ცენტრალური კომიტეტის ფორმირების უპირატესად თანამდებობრივ პრინციპზე, რომელიც არსებითად ქვეყანაში ხელისუფლების პარტიულ-სახელმწიფო სისტემის გამოხატულება იყო. როგორც წარმოგვიდგენია, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ცენტრალური კომიტეტის განმტკიცებას და მის მუდმივ კავშირს პარტიულ ორგანიზაციებთან, რადგან ასეთი კავშირი განხორციელდება არა აპარატის მეშვეობით, არამედ ცენტრალური კომიტეტის არჩეული წევრების მეშვეობით. ამავე დროს ისინი თითქმის ყველანი მონაწილეობას მიიღებენ ამა თუ იმ კომისიის მუშაობაში, არსებითად გახდებიან საერთო-პარტიული რანგის პოლიტიკური მოღვაწენი.

უპირველია აქ შეეხოთ ცენტრალურ პარტიულ აპარატსაც. ცხადია, რომ პარტიის როლის შეცვლასთან ერთად დაგვჭირდება თვისებრივი შემადგენლობით სხვა აპარატიც. იგი უნდა იყოს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ცენტრალური კომიტეტის თანაშემწე, მოქმედებდეს ჭკვიარად მისი კონტროლით.

უკანასკნელ

გამოსვლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(გაგრძელება)

ზაციებთან და მოძრაობებთან ერთად მხოლოდ მონაწილეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. პირიქით. საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა დასაშვები საშუალებით ვიბრძოლოთ საზოგადოებაში ჩვენი ავანგარდული მაკონსოლიდირებელი როლისათვის.

გვაფფოთებს, რომ პლატფორმაში არ არის სერიოზული მიდგომა პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი როლისადმი. გამოვაცხადეთ ... აზრთა პლურალიზმი, ჩვენ გვაქვს საზოგადოება, რომელიც კარგახსნილია ყველა იდეოლოგიური გავლენისა და ზემოქმედებისათვის. მაგრამ ამ პირობებში პარტია კიდევ უფრო შეუპოვრად უნდა იბრძოდეს ადამიანთა გონებისა და გულის დასაპყრობად. დღეს ქვაკუთხედია საკითხი: ვინ გაიყოლიებს მასებს მსოფლმხედველურად, სულიერად, იდეოლოგიურად? მიმდინარეობს ზნეობრივი დირებულებების დევალვაცია. ლამის წაგვლეკოს სულიერმა სიღატაკემ, დანშავეობამ, განუკითხაობამ. განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდობას. ჩვენ კი რას ვშვრებით? ვეძებთ ხსნას რელიგიის პრაბაგადაში. ნუთუ მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეები აღარ გვჭირდება?

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ პარტიას არა აქვს მთლიანი იდეოლოგიური პლატფორმა. კომუნისტები სვამენ სავსებით კანონზომიერ კითხვას: რატომ ადგებიან ზოგჯერ პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი თავდაცვითს პოზიციას, აზრთა პლურალიზმის პირობებში არა აქვთ საკუთარი მკაფიო თვალსაზრისი, რატომ არის, რომ, გვაქვს რა უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალი, ... ვერ ... ალ. რატომ არის, რომ ჯიუტად არ ვამჩნევთ ჩვენი ზერადიკალების ცდებს ჩამოაგდონ მსოფლიოში პირველი პროლეტარული პარტიის ბელადი ვითომდა მის მიერ დაუმსახურებლად დაკავებული კვარცხლბეკიდან, გამოაცხადონ სიცოცხლის უნარმოკლებულად მარქსიზმ-ლენინიზმიც, თვით სოციალიზმის იდეაც? რატომ არ ვაძლევთ დროულ პოლიტიკურ შეფასებებს "ბალტიისპირეთში, ფერეოანაში, თბილისში, ამიერკავკასიაში მომხდარ ამბებს. ყოველთვის ვუთმობთ ინიციატივას სხვებს?

ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, თითქოს ცენტრალურ კომიტეტს არცთუ ისე მკაფიოდ ჰქონდეს წარმოდგენილი, რომელ ძალებს შეიძლება დაეყრდნოს ამ მომენტში. პლატფორმის პროექტში სავსებით სწორად არის დასმული საზოგადოების კონსოლიდაციის ამოცანა მისი რევოლუციური განახლების გზებზე. მაგრამ ისიც სავსებით ცხადია, რომ გარკვეულ ძალებს მტკიცედ უნდა გავემიჯნოთ და ეს საქიეყნოდ უნდა ვთქვათ.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს **ვ. კ. მესიატს.** ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმს, თქვა ორატორმა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის, გარდაქმნის საქმისათვის, ვითარება ქვეყანაში უკიდურესად რთულია. კეთილსინდისიერი შრომა, ორგანიზებულობა, დისციპლინა ახლა თითქოსდა უკანა პლანზე გადაწეული აღმოჩნდა. ყველანი მთავარ ყურადღებას იმას უთმობენ, თუ როგორ გაინაწილონ უფრო მოხერხებულად ღარიბი სახელმწიფო ბიუჯეტი, დეფიციტური სასურსათო რესურსები, ზოგჯერ უბრალოდ უშრომელი შემოსავალი. მაგრამ განაწილება ხომ სულ უფრო და უფრო რთული ხდება. აქედან გამომდინარეობს ყველა ჩვენი კონფლიქტი, საზოგადოებრივი დაძაბულობა, აშკარა უწდობლობა პარტიული და საბჭოთა ორგანოებისადმი.

ჩვენი საზოგადოება დგას არჩევის წინაშე — ან იგი დაადგება დესტაბილიზაციისა და ანარქიის, სოციალური რღვევის გზას, ანდა გააერთიანებს მთელ ჯანსაღ ძალებს, ივლის წინ სოციალიზმის დეფორმაციებისა და დამახინჯებებისაგან განწმენდის, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებზე მისი განახლების გზით.

მოსკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაცია მხარს უჭერს მეორე გზას. ჩვენი პოზიცია ფართო დისკუსიების შემდეგ, რომლებშიც მონაწილეობდა 356 ათასზე მეტი კომუნისტი და უპარტიო, ჩამოვაყალიბეთ გარდაქმნის გაღრმავებისა და პრაქტიკული რეალიზაციისათვის მოქმედების პროგრამაში. საოლქო პარტორგანიზაციამ მტკიცედ განაცხადა, რომ მყარად იდგება მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებზე, იბრძოლებს საზოგადოებაში პარტიის წამყვანი როლისათვის, დარწმუნებული ვართ, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარდა არ არის სხვა ძალა ან საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელსაც უნარი შესწევდეს გააერთიანოს ხალხი, დარაზმოს იგი გარდამავალი პერიოდის სიძნელეთა დასაძლევად, გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისული სიტუაციიდან. საგუნებაროდ, ეს ფუძემდებლური დებულება XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტში ასახული არ არის. ორატორის აზრით, დოკუმენტში საჭიროა უფრო ზუსტად განისაზღვროს განახლებული სოციალისტური საზოგადოების საშენებში განახლებული პარტიის როლი და ადგილი, რადგან ბუნდოვანი ფუძემდებლური ფორმულირებანი, როცა არ არის მათი რეალიზაციის ქმედითი მექანიზმი და უკეთ შექმნილია უამრავი სხვადასხვა მოძრაობა, კავშირი, გაერთიანება, ფრონტი და ა. შ., იქამდე მიგვიყვანს, რომ პარტია, როგორც ასეთი, დაკარგავს საკუთარ თავს და პოლიტიკურად ფარიყუული აღმოჩნდება.

ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს რადიკალურად გარდავქმნათ პარტიული მუშაობის სტილი და მეთოდები სწრაფად ცვალებადი ვითარების შესაბამისად, გადავაჯგუფოთ ჩვენი ძალები, გავამდიროთ თეორიული და პრაქტიკული ბაზა ახალი კონსტრუქციული იდეებითა და მიდგომებით. ავანგარდულ როლს პარტია დღეიადაგ უნდა განმტკიცებდეს უპირატესი ინიციატივით, რეალური შედეგიანი საქმეებით. უამისოდ თავის ავტორიტეტს, ლიდერის მდგომარეობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ვერ აღიდგენს.

მოსკოვის ოლქის კომუნისტები იღვწიან ზემდგომ პარტიულ კომიტეტებსა და აღგილობრივ პარტორგანიზაციებს შორის ურთიერთობის არსებითი შეცვლისათვის, მათთვის მეტი უფლებების გადაცემისათვის, იმ შინაპარტიული საკითხების გადაჭრაში დამოუკიდებლობის მიხეჭებისათვის, რომლებიც ეხება პარტიაში მიღებას, მისი რიგებიდან გარიცხვას, ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფას. პარტიული შენატანების გამოყენებას, არჩევითი ორგანოებისა და მათი აპარატის საქმიანობისადმი კონტროლს. მაგრამ ჩვენ საგრძნობლად ვერ გამოვაცოცხლებთ შინაპარტიულ ცხოვრებას, ახალ თვისებრივ დონეზე ვერ ავიყვანთ პარტიულ მუშაობას, თუ მტკიცედ არ გავილაშქრეთ პარტიული კადრების სახელის გატეხის, გარდაქმნაში პარტიის როლის დაკნინების წინააღმდეგ.

დღეს კომუნისტები პირდაპირ სვამენ კითხვას: რატომ უკავიათ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პარტიულ კომიტეტებს თავდაცვითი პოზიცია. რატომ საკადრის პასუხს ან სცემენ დემაგოგებსა და ფალსიფიკატორებს, რატომ ურიგდებიან იმათ, ვისაც ჯიბეში პარტიული ბილეთი უდევს, პარტიის გეზის წინააღმდეგ კი ილაშქრებს? დადგა დრო, ზუსტად განვსაზღვროთ ჩვენი ადგილი და ვთქვათ, ვინ ვინ არის! ვინ არის ნამდვილად გარდაქმნის მომხრე. და ვინ იყენებს სოციალიზმის თავისი ჯგუფური პოლიტიკური ამბიციების რეალიზაციისათვის, ძალაუფლების უშუალოდ ხელში ჩასაგდებად ბრძოლისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დაიწყო და სათავეში ჩაუდგა გარდაქმნას და უნდა იყოს მის ავანგარდში. სწორედ ამას მოითხოვს ცენტრალური კომიტეტისაგან, პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოსაგან კომუნისტთა უპრავლესობა. ორატორმა წინადადება წამოაყენა მიღონ პლენუმის სპეციალური რეზოლუცია ამ საკითხზე.

ჩვენი საოლქო პარტიული ორგანიზაცია მოლიანად იზიარებს პლატფორმის პროექტის დებულებას იმის შესახებ, რომ აღარ შეიძლება კვლავ ისე ვიცხოვროთ, როგორც 1985 წლის აპრილამდე ვცხოვრობდით. პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეროვნულ ურთიერთობაში დემოკრატიზაციის ახალი კურსი ამართლებს დანშნულებას. ბევრი რამ, რაც დღეს ხდება, ამხანაგებო, ძალიან ჰგავს არაჯანსაღი ვნებათაღელვის უპრეცედენტო გაღვივებას, ანარქიას, რომელსაც მარჯვედ წარმართავენ ანტისოციალისტური მიმართულების ყოველგვარი დაჯგუფებებისა და კავშირების ლიდერები. ყოველივე ეს მძლავრი ფსიქოლოგიური წნეხვითი აწვება ადამიანთა შეგნებას. იწვევს მათ კანონიერ გულისწყრომასა და აღშფოთებას. არ ვიცი, იქნებ ვცდები, მაგრამ ეს, ამხანაგებო, არ არის ის დემოკრატია, ის საჯაროობა, რომლებიც საბჭოთა ხალხსა და მისი კეთილდღეობისათვის გამოაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა.

ჩვენს გაუბედობას მიიწევენ სისუსტედ, იგი ხელს უწყობს უპასუხისმგებლობისა და ყოვლისმიმტევებლობის ზრდას. საქმე ძალიან შორს წავიდა. და იქნებ ეს იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ხუთი წლის მანძილზე ეკონომიკაში ვერ მივაღწიეთ იმ დადებითს შედეგებს, რომლებსაც ველოდით. უდისციპლინობა, დეზორგანიზაცია. საწარმოო რიტმის დარღვევები, რაც ჩვენი სინამდვილე გახდა, პროდუქტებსა და საქონელს როდი მატებენ მაღაზიების თაროებსა და დახლებს, როდი აჩქარებენ ბინების, სხვა სოციალური ობიექტების მშენებლობას, როდი აუქმობენენ სამედიცინო. საყოფაცხოვრებო და კომუნალურ მომსახურებას, და მთლიანად ხელს როდი უწყობენ რთული ვითარებიდან ქვეყნის გამოსვლას. მშრომელები სამართლიანად მოითხოვენ განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი წესრიგის დამყარებისათვის, სტაბილური ვითარების, სოციალური დაცულობისა და უსაფრთხო ცხოვრების გარანტიების შექმნისათვის.

სწორედ ამიტომაც საჭიროა XXVIII ყრილობას პარტია შეეგებოს ნამდვილი სამართლებრივი, ნამდვილად სახალხო მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის მკაფიო პროგრამით.

ორატორმა მხარი დაუჭირა წინადადებას ყრილობის მოწყობის ვადის მოახლოების შესახებ, ხოლო საანგარიშო-საარჩევნო კამპანია პარტიაში. მისი აზრით, შეიძლება გიმმართოს ყრილობის შედეგ.

როგორც უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ა. ჯარიმოვმა** თქვა, უზბეკეთის კომუნისტთა, მშრომელთა დიდი უმრავლესობის აზრი შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთმნიშვნელოვნად: ჩვენ მხარს ვუჭერთ სსრ კავშირის განაწილებულ ფედერაციას, რომელშიც თითოეულ რესპუბლიკას ექნება თავისი ნამდვილი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, მხარს ვუჭერთ განახლებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულ და იდეურ ერთიანობას, რომლის გარდაქმნის ხასიათი გაშუქებულია პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის შესახებ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მოხსენებაში. ამავე დროს უკანასკნელი თვეების საგანგებო სიტუაციებმა მკაფიოდ გვიჩვენა, რომ, თუ ჩვენ არ ვასწრებთ მოვვლენებს, ხოლო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დროზე არ ჩრიან მომწიფებულ პრობლემებს, მაშინ, როგორც წესი, მათ ხელს ჰკიდებენ სხვები. ამას კი, თავის მხრივ, შეიძლება განუკვრეტელი შედეგები მოჰყვეს.

ორატორმა აღნიშნა, რომ ქვეყნის ხალხთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მეობებით უზბეკეთში შეიქმნა მსხვილი საწარმოო პოტენციალი, და თქვა, რომ იმ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ პოლიტიკას, რომელსაც გვეკარნახებდა უნიტარული სახელმწიფო წყობილება, ის მოჰყვა, რომ დღეს რესპუბლიკის ეკონომიკა ცალმხრივია, ჰიპერტროფირებული სანედლეულო ხასიათისაა და ორიენტირებული არ არის მოსახლეობის საჭიროებებზე. არ შეიძლება, მაგალითად, ნორმალური რაციონალურ ვითარება, როცა სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის 80-90 პროცენტი ყოველგვარი გადამუშავების გარეშე გადის.

თავის დროზე რესპუბლიკის წინაშე, თქვა შემდეგ უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, დაისვა მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ამოცანა: უზრუნველეყო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ბამბის წარმოების დარგში. და იგი გადაწყდა, რასაც, სხვათა შორის, ვერ მივაღწიეთ ქვეყანაში ვერც პურის, ვერც ხორცისა და სოფლის მეურნეობის სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მიხედვით. ამის შედეგად კი რესპუბლიკა აღმოჩნდა ქვეყანაში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე არა მარტო მეცხოველეობის, არამედ ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის მოხმარების, სოფლის სოციალური განვითარების მხრივ.

მხარი დაუჭირა რა პლატფორმაში წამოყენებულ პრინციპულ დებულებას იმის შესახებ, რომ ამიერიდან თითოეული რესპუბლიკა დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის საკუთარ განვითარებას, ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ ეს დებულება დეკლარაციად დარჩება, სანამ პრაქტიკულად არ შეიქმნება მისი რეალური ხორცშესხმის ყველა საჭირო პირობა, მისი აზრით, თვითდაფინანსებაზე, თვითმმართველობაზე გადასვლის დროს პრაქტიკულად გათვალისწინებულ არ არის რესპუბლიკის სასტატო მდგომარეობა, მისი სოციალურ-ეკონომიკური ბაზა.

გააანალიზა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ უნდა განმტკიცდეს ადამიანის შრომის უფლების გარანტიები, ორატორმა განაცხადა, რომ უზბეკეთში უმუშევართა რიცხვი იზრდება და დღეს დაახლოებით მილიონს აღწევს. მან თქვა, რომ საჭიროა შემუშავდეს დასაქმების უზრუნველყოფის საკავშირო პროგრამა, და წამოაყენა წინადადება საკანონმდებლო წესით უზრუნველყონ ისინი, ვისაც სამუშაო არა აქვს, დახმარებით, რომელიც მათ საცხოვრებელი მინიმუმის გარანტიას მისცემს.

გარდაქმნის ბედისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, დასასვა ორატორმა, მეურნეობრიობისა და მმართველობის ახალ მექანიზმზე ქვეყნის გადასვლას.

მაგრამ, მისი აზრით, ახალ ეკონომიკურ სისტემას, ახალ სამეურნეო მექანიზმს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მკაფიო მოხაზულობანი არა აქვთ. უზბეკეთის სს რესპუბლიკის რა ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და თვითდაფინანსებაზე შეიძლება ლაპარაკი, იკითხა მან, თუ ეგრეთ წოდებული სუბვენცია, მარტივად რომ ვთქვათ, დოტაცია საკავშირო ბიუჯეტიდან სამ მილიარდ მანეთს აღწევს? ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, მთელი რესპუბლიკური ბიუჯეტის 30 პროცენტია. პირდაპირ დაუკავშირა რა ამას მეორე საკითხი — სოფლის მეურნეობის ბევრი სახეობის პროდუქციისათვის, მაგალითად, შუა აზიაში ისეთი წამყვანი კულტურისათვის, როგორიცაა ხამბამბა, ანაზღაურების გადასინჯვის შესახებ. — უზბეკეთის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელმა წინადადება წამოაყენა ერთხელ კიდევ გადასინჯონ მიწისა და წიაღის საკუთრებასთან დაკავშირებული დებულებანი. მისი აზრით, ისეთი გამარტივებული განსაზღვრება, რომელიც მოცემულია პლატფორმის პროექტში, არ შეესაბამება განახლებადი ფედერაციის არსსა და სულისკვეთებას, ხელს არ შეუწყობს ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალურ გამოყენებაში.

ორატორმა სწორი უწოდა პლატფორმის პროექტში დასახულ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის გაზრდის კურსს. მხარი დაუჭირა რა იმ წინადადებებს, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ჩამოყალიბებას. მან ამავე დროს განაცხადა, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოებში უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი პირობებით მოკავშირე რესპუბლიკების ყველა კომპარტიის სავალდებულო წარმომადგენლობა.

პარტიას დღეს განსაკუთრებით სჭირდება, აღნიშნა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ზუსტი მყარი პოზიციები ყველა პრინციპულ საკითხში, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ფედერაციის განახლებასთან და გარდაქმნასთან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში. სამწუხაროდ, თქვა მან შემდეგ. პლატფორმაში არ არის განსაზღვრული მკაფიო პოზიციები იმათ მიმართ, ვინც, ინიციბება რა გარდაქმნისა და დემოკრატიის ლოზუნგებით, იყენებს მომდინარე სიძნელეებსა და პრობლემებს, დღეს ახდენს ვითარების დესტაბილიზაციას, ქმნის პარალელურ ორგანიზაციულ და სხვაგვარ სტრუქტურებს პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. როგორც მმართველი პოლიტიკური ძალა, კვლავაც ეკისრება პასუხისმგებლობას საქმის ვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ პარტია თავის დანშნულებას, როგორც გარდაქმნის ინიციატორი, ვერ შეასრულებს, თუ ხელიდან გაუშვა საკადრო პოლიტიკის მთავარი ბერკეტები. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: განა საჭიროა პლატფორმაში იმ დებულების ასეთი დეკლარირება, რომ პარტიიდან გასვლას არ მოსდევს არავითარი პოლიტიკური შედეგები?

პლატფორმის სიბრძნე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის **გ. ა. იაგოდინის** აზრით, ის არის, რომ იგი არ სახავს სხვა მიზნებს, საერთო-ჰუმანურის, აბსოლუტურად ისეთის გარდა, რომლებსაც არ შეიძლება არ დაეთანხმო, რომელთა ცენტრშია ადამიანი, მისი ბედნიერება და კეთილდღეობა. ეს კონცეფციის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. 20-იანი და უფრო მოგვიანო წლების ხელმძღვანელობის შეცდომა იყო მარქსიზმიდან გადახვევა, სუბიექტივიზმი და. იქნებ, სუბიექტური იდეალიზმიც. მაშინ თეორია უფრო მთავარი გახდა, ვიდრე პრაქტიკა. ორატორმა გამოთქვა შიში, რომ ახლა, როცა ჩვენ ვცდილობთ კანონებით დავკემლოთ მძიმე, გახვრეტილი და გახეული ბიუჯეტი, ხომ არ მოგვდის ასეთივე სუბიექტური შეცდომები, და ნაცვლად იმისა, რომ ვილაპარაკოთ ადამიანზე წარმოების სფეროში და განსაზღვროთ ამ წარმოების გაუმჯობესების შესაძლებლობანი, მთავარ ყურადღებას ვუთმობთ არქიმნიშვნელოვან, არქისაჭირო, მოღაღად საკითხებს, მაგრამ მაინც განაწილების საკითხებს, რომლებიც ყოველთვის მეორეული იქნება, განსაკუთრებით დეფიციტის პირობებში.

მოუწოდა რა დამსწრეთ აქტიურად დაუჭირონ მხარი პლატფორმის იდეას პრეზიდენტის პოსტის შესახებ, ორატორმა აღნიშნა, რომ კოლეგიური ხელმძღვანელობა მშვენიერია, სანამ მას არ მოჰყვება კოლექტიური უპასუხისმგებლობა. უნდა მოინიშნოს ის ბოსტი, ის კაცი, რომელიც ... ...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული მშენებლობისა და საკადრო პოლიტიკის საკითხთა კომისიის სხდომა

8 **თებერვალს** გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული მშენებლობისა და საკადრო პოლიტიკის საკითხთა კომისიის მორიგი სხდომა.

კომისიამ განიხილა პარტიის XXVIII ყრილობისადმი სკკპ წესდების პროექტის კონცეფციის ძირითადი დებულებანი. ნაზგასმით აღინიშნა, რომ წესდება, რომელიც იქმნება, უნდა იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განახლების ინსტრუმენტი, რომელიც სტიმულს მისცემს შინაპარტიული ურთიერთობის ისეთ გარდაქმნას, პარტიის ფართო დემოკრატიზაციას რომ შეახამებს მისი ორგანიზებულობისა და ქმედუნარიანობის ზრდასთან. წესდებამ უნდა ასახოს განახლებად სოციალისტურ საზოგადოებაში კომუნისტური პარტიის როლის თანამედროვე ხედვა, დაეყრდნოს პარტიული მშენებლობის ლენინური პრინციპების შემოქმედებითს გაგებრებას, გაითვალისწინოს უკანასკნელი წლების პრაქტიკა, კომუნისტთა და უპარტიოთა მრავალი წინადადება, რომლებიც სკკპ ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით მოდის.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ წესდება იყოს მოკლე, შეიცავდეს პარტიული ცხოვრების მხოლოდ ფუძემდებელ ნორმებს. საჭიროა უარი ვთქვათ მასში ზედმეტ რეგლამენტაციაზე, შეეგქმნათ მაქსიმალური შესაძლებლობანი და პირობები კომუნისტთა და პარტიულ ორგანიზაციათა, უწინარეს ყოვლისა პირველადი პარტორგანიზაციების როგორც პარტიის საფუძველის, დამოუკიდებელი შემოქმედებისათვის, ახალი პოლიტიკური აზროვნებისა და გაბედული, არაორდინარული პრაქტიკული მოქმედებისათვის.

კომისიაზე განიხილეს წინადადებანი სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევის წესის შესახებ. ამ საკითხზე ფართო კამათი მიმდინარეობს პარტიაში. კომუნისტები მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, სამართლიანად მიიჩნევენ, რომ დელეგატთა შემადგენლობაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ყრილობის შედეგებიც. ამის შესახებ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ადგილებიდან ბევრი წინადადება მოდის. კომისიამ მხარი დაუჭირა იმას, რომ დელეგატთა არჩევის წესი იყოს მაქსიმალურად დემოკრატიზებული, კომუნისტებს შესაძლებლობას აძლევდეს უშუალოდ მონაწილეობდნენ როგორც კანდიდატთა დასახელებაში, ისე პარტიული ყრილობის დელეგატთა არჩევნებში. კომისიის წინადადებებს წარუდგენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მონაწილეებს.

კომისიამ განიხილა პარტიული ორგანიზაციებისა და საცხოვრებელ ადგილას კომუნისტების მუშაობის გარდაქმნის საკითხი. თანამედროვე პირობებში ეს მუშაობა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. საცხოვრებელ ადგილას მუშაობა ახალ ასპექტებს იძენს ტერიტორიული თვითმმართველობის ფართო განვითარების დროს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიულმა კომიტეტებმა შეიძინეს მეკრორაციონებსა და საცხოვრებელ მასივებში საქმიანობის მრავალმხრივი გამოცდილება. კომისიამ მიზანშეწონილად ცნო გაანალიზა ისინი პარტიულ კომიტეტებს, აგრეთვე აცნობოს მათ რეკომენდაციები საცხოვრებელ ადგილას მუშაობის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

კომისიის სხდომა მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. პ. რაზუმოვსკის თავმჯდომარეობით.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. კ. პუგო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ა. მანაენკოვი და გ. ი. უსმანოვი. (საკდესი).

დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

(დასასრული)

გორის რაიონის სოფელ ტყვავის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **რობინზონ ნიკოლოზის ძე ჩიხლაძე** — საქართველოს სსრ კოლმეურნეთა საბჭოსაგან.

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **თამაზ სოლომონის ძე მესხი** — საქართველოს სსრ კოლმეურნეთა საბჭოსაგან.

საქართველოს სსრ კოლმეურნეთა საბჭოს მთავარი სპეციალისტი **პაატა პატრეს ძე კოლუაშვილი** — ამ საბჭოსაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის უახლესი ისტორიის კათედრის გამგე **რევაზ ავქსენტის ძე მიშველაძე** — საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებისაგან.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე **ლევან დავითის ძე სანიკიძე** — ამ საზოგადოებისაგან.

მწერალი **ელბერდ დავითის ძე ბატიაშვილი** — საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებისაგან.

ბაშურის რაიონის სოფელ ხეცისის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **ავთანდილ მიხეილის ძე დვალიშვილი** — საქართველოს სსრ კოლმეურნეთა საბჭოსაგან.

ზედეგაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **კუკური ხუსეინის ძე დუმბაძე** — საქართველოს სსრ კოლმეურნეთა საბჭოსაგან

თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგის“ ტაქსონომიისა და სელექციის ლაბორატორიის გამგე **ქეთევან კონსტანტინეს ასული გაჩეჩილაძე** — თბილისის საბურთალოს რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

თბილისის ა. დ. უშინსკის სახელობის № 1 ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელი **მაია გიორგის ასული ინასარიძე** — თბილისის საბურთალოს რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ინფექციონისტი **ეთერ შალვას ასული ბოცვაძე** — თბილისის საბურთალოს რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

ჭიათურის № 9 საშუალო სკოლის მასწავლებელი **შოთა შოთას ძე გაფრინდაშვილი** — სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

ქარელის რაიონის ქარელის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **ქეთევან ვლადიმერის ასული სამნიაშვილი** — საქართველოს სსრ კოლმეურნეთა საბჭოსაგან.

თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორი **ლამარა ალექსანდრეს ასული ჩინჩარაძე** — ამ სკოლა-ინტერნატის შრომითი კოლექტივისაგან.

ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის გარდაბნის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე **გამიდ მამედ ოღლი მუსაევი** — გარდაბნის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოსაგან.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პროპაგანდის კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ ემელიანეს ძე ქურდიანი** — ამ საზოგადოებისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგე **ავთანდილ ირაკლის ძე არაბული** — საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებისაგან.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე **ალიოშა ალიოშას ძე ყურაშვილი** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისაგან.

ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სისხლის გადასხმის განყოფილების ექიმ-თერაპევტი **იზოლდა ვალერიანის ასული ჩინჩარაძე** — საქართველოს ექიმთა ასოციაციისაგან.

საქართველოს სსრ დოსააფის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან აფრასიონის ძე ახვლედიანი** — ამ კომიტეტისაგან.

ქუთაისის აბრეშუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი **ზურაბ ნიკოლოზის ძე მელქაძე** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისაგან.

ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ინჟინერი **ზურაბ დიდიმოს ძე მარუაშვილი** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისაგან.

ჟურნალ „განთიადის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე **ავთანდილ სერგოს ძე ყურაშვილი** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგაკოძალის „ლაშარის სამყაროს“ დარბაზთუბუცესი **ომარ ბეწინას ძე თურმანაული** — ამ საზოგადოებისაგან.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თბილისის სადრეშოს თავმჯდომარე **ვაჟა ალექსანდრეს ძე ომარაშვილი** — ამ საზოგადოებისაგან.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ილია მიხეილის ძე ბეგიაშვილი** — ამ საზოგადოებისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ივერი ვარლამის ძე ფრანგიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი **რობერტ რობერტის ძე სტურუა** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებლის დირექტორი **გოდერძი ვასილის ძე ჭინჭარაული** — სასწავლებლის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ისტორიის კათედრის დოცენტი **აკაკი გიორგის ძე მათიაშვილი** — თბილისის მომზმარებელთა საქალაქო საზოგადოების საკაჭრო-შემსყიდველი კოოპერატივის „საბურთალოს“ შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი **დავით ირაკლის ძე გაგუა** — თბილისის საქალაქო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი **აკაკი არჩილის ძე ჭორჯაძე** — ამ საზოგადოებისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თენგიზ იოსელიანის ძე სიგუა** — ინსტიტუტის შრომითი კოლექტივისაგან.

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი **არჩილ ანდრიას ძე კოსტავა** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისაგან.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **კობა გიორგის ძე ჯიბლაშვილი** — ამ საზოგადოებისაგან.

ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სისხლის გადასხმის განყოფილების ექიმ-თერაპევტი **იზოლდა ვალერიანის ასული ჩინჩარაძე** — საქართველოს ექიმთა ასოციაციისაგან.

საქართველოს სსრ დოსააფის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან აფრასიონის ძე ახვლედიანი** — ამ კომიტეტისაგან.

ქუთაისის აბრეშუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი **ზურაბ ნიკოლოზის ძე მელქაძე** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისაგან.

ქუთაისის ავტომობილთა სარემონტო-საწარმოო გაერთიანების „საქფრინველმრეწვის“ მეფრინველეობის საცდელი სადგურის ოფიცერი **ზურაბ ზაქარიას ძე ცოფურაშვილი** — გარდაბნის რაიონის ნორიოს საექიმო ამბულატორიის შრომითი კოლექტივისაგან.

გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის დირექტორი **გოგი პეტრეს ძე კაპანაძე** — ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

ტაბახმელის საექიმო ამბულატორიის თავარი ექიმი **შოთა პორფილეს ძე დანელია** — ამ ამბულატორიის შრომითი კოლექტივისაგან.

გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე **ტელმან აუდარ ოღლი ველიევი** — გარდაბნის № 3 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „საქფრინველმრეწვის“ თავმჯდომარე **ვლადიმერ ივანეს ძე გვარჯალაძე** — თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

(საკინფორმი).

აშენდება საქათედრო ტაძარი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავის აღსანიშნავად თბილისში აშენდება წმ. სამების სახელობის საკათედრო ტაძარი.

ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად და საუკეთესო პროექტის გამოსავლინებლად სრულიად საქართველოს საპატრიარქომ, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან ერთად, გამოაცხადა კონკურსი. საკონკურსო პროექტების ჩაბარების ვადა მთავრდება 1990 წლის 7 თებერვალს, 18.00 საათზე.

წარმოდგენილი მასალა გამოფენილი იქნება თბილისის მხატვრის სახლის დარბაზში (რუსთაველის გამზირი). საკონკურსო გამოფენის გახსნა შედგება დავით აღმაშენებლის ზეობის დღეს, 8 თებერვალს, 19 საათზე.

ეიურის შემადგენლობა:

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — თავმჯდომარე; ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე); ცხუმ-აბხაზეთის მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა); ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე); ბოდბელი მიტროპოლიტი ათანასე (ჩახვაშვილი); ადარაკელელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი); ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე); ჭუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე (მარგალიტაშვილი); მარგველი ეპისკოპოსი ძრანტაფორე (ფალალაიძე); ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე); ურბნელი ეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი); წილკნელი ეპისკოპოსი ზენონი (ფიოფვილი); ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ბიორგი (შალაგელიძე); თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი პროტოპრესვიტერი გიორგი გაგრეკელი.

სასულიერო პირთა გარდა ეიურის შემადგენლობაში შედიან:

ირაკლი ანდრიაძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე; გურამ მირიანაშვილი — საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე; ნოდარ მგალობლიშვილი — საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე; ალბერტ თავხელიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; ნოდარ ამაღლობელი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი; აპაკი ბაძრაძე — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი; ნოდარ ნათაძე — საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე; ანა კალანდაძე — პოეტი; ნოდარ ჯანბერიძე — საქართველოს ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი; თენგიზ კვირკველია — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; ბიორგი გათიაშვილი — საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორი; ელიზბარ ჯაველიძე — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი; დავით ციციშვილი — საზოგადოება „თბილისელის“ თავმჯდომარის მოადგილე; თენგიზ გუაჩიძე — საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე; ელგუჯა ამაშუკელი — საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; თამაზ ნათაძე — ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო სამმართველოს უფროსის მოადგილე; მერაბ მამარდაშვილი — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი; ჯემალ დავითაია — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

ეკსკურსია

საკლასო იუწყება

6 თებერვალი

თემა — „ახალი ევროპა“

საერთაშორისო სიმპოზიუმი დავოსში

დავოსი (შვეიცარია). ევროპის აღმოსავლეთში მიმდინარე რადიკალური ცვლილებანი და მათი გავლენა კონტინენტის ბედზე, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა განვითარების პერსპექტივები — ეს თემებია დისკუსიების უფრო დიდების ცენტრში, რომლებსაც ეწევიან აქ გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილენი. იგი ეწყობა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ორგანიზაციის ინიციატივით. ტრადიციისამებრ სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობენ მრავალი ქვეყნის სახელმწიფოთა მეთაურები, წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეები და ეკონომიკური ექსპერტები.

დიდი ინტერესი გამოიწვია პლენარულ სხდომაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ლ. ი. აბალკინის გამოსვლამ, რომელმაც ილაპარაკა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის მიერ დამტკიცებული საბჭოთა ეკონომიკის გაჯანსაღების სამთავრობო პროგრამის მიზნებზე, შინაარსსა და ძირითად ეტაპზე. ლ. ი. აბალკინმა გვერდი არ აუარა გარდაქმნის ახლანდელი სტადიის სიძნელეებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

სიმპოზიუმზე მკაფიოდ გამოსულმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ხ. კოლმა აღნიშნა, რომ კონტინენტის აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებს საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის ყველა ხალხის მომავლისათვის. მან მხარი დაუჭირა საერთო-ევროპული ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას, უმაშროების სტრუქტურების შექმნას, რომლებიც გასცდება სამხედრო-პოლიტიკურ ფარგლებს.

ამავე დროს დასავლეთ გერმანიის მთავრობის მეთაურმა მხარი არ დაუჭირა წინადადებას, რომ გაიმართოს საერთო-ევროპული რეფერენდუმი გერმანიის ერთიანობის პრობლემაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მონაწილეობით. ეს პრობლემა მხოლოდ გერმანელებს ეხებათ, ხაზგასმით აღნიშნა კანცლერმა. ჰ. კოლმა გაიოაშჭრა აგრეთვე მომავალი გერმანიის ნეიტრალური სტატუსის წინააღმდეგ, ამასთან ამტკიცებდა, რომ ეს ეწინააღმდეგება სრულიად ევროპის გაერთიანების პროცესის ლოგიკას.

● კოლონეთი

პროფკავშირთა მოთხოვნები

ვარშავა. სრულიად პოლონეთის პროფკავშირთა შეთანხმების აღმასკომმა წამოაყენა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი ხელფასისა და სოციალური პოლიტიკის ფორმირების სფეროში, რომლებმაც უნდა დაიცვან მშრომელები და შრომის ვეტერანები მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური პროგრამის ნეგატიური შედეგებისაგან. ეს წინადადებანი განხილული იქნება პოლონეთის მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლებთან მომავალ მოლაპარაკებაზე.

აღმასკომს საჭიროდ მიაჩნია მთავრობასთან ერთად განიხილოს გენერალური ეკონომიკური სტრატეგია და დოქტრინა, რომელიც მისაღები იქნება პროფკავშირებისათვის, ვინაიდან მთავრობის ნეოლიბერალური კონცეფცია, მათი აზრით, სერიოზულ ექმს ბადებს, ითქვა აღმასკომის სხდომაზე. ჩვენი პროფკავშირები მზარს უმეურნ საბაზო ეკონომიკას, საშემოქალაქო საზოგადოებას და თვითმმართველობის სახელმწიფოს, განაცხადა აღმასკომის თავმჯდომარემ ა. შედოვიჩმა. ჩვენ მხარში ამოვუდგებით ნებისმიერ პარტიას, რომლის საქმიანობის მიზანი იქნება მშრომელთა ინტერესების დაცვა. პროფკავშირებს მინისტრთა კაბინეტთან შედარებით განსხვავებული აზრი აქვთ ქვეყანაში გარდაქმნების ტემპის, აგრარული პოლიტიკის, სოფელთან ქალაქის კავშირის საკითხებშიც. თუ უახლოესი მოლაპარაკება მთავრობასთან უშედეგო აღმოჩნდება, მაშინ მასთან კოლექტიური დავა მოგვიწევსო, თქვა ა. შედოვიჩმა.

სრულიად პოლონეთის პროფკავშირთა შეთანხმების მოთხოვნათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია იმის გარანტია, რომ მომდინარე წელს რეალური ხელფასის დონე ბოლამდეს 20 პროცენტს არ აღემატებოდეს, ე. ი. მთავრობის მიერ გამოცხადებულ და სეიმის მიერ მოწონებულ დონეს. პროფკავშირთა ექსპერტების გამოთვლებით, ჯერჯერობით არის იმის საფრთხე, რომ ამა წლის დამლევს საშუალო რეალური ხელფასის დონე 60 პროცენტით დაბალი იქნება.

● პანამა

რეპრესიები, დაპატიმრებანი

პანამა. პანამის ახალმა მთავრობამ ქვეყანაში გააჩინა ნამდვილი ნადირობა პოლიტიკური ოპოზიციის მოღვაწეებზე და, უწინარესად, უწინ მმართველი რეჟიმლუციურ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებზე, ნათქვამია რეჟიმლუციურ-დემოკრატიული პარტიის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

მასობრივი რეპრესიებიდან, რომლებსაც სხვადიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ჯარებთან ერთად დეკემბრის ინტერვენციის პერიოდში, ხელისუფალნი დღეს გადავიდნენ შერჩევითს დაპატიმრებებზე, რომელთა მიზანია „წაართვან პარტიასა და ხალხს გაერთიანებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის ბრძოლის შესაძლებლობა“.

ბრენაზეა ქართული საცირკო შოუ

თბილისის სახელმწიფო ცირკში წარმოდგენებს მართავს საქართველოს კულტურის ფონდთან არსებული ხელოვნების ცენტრის „ავანგარდის“ ბათუმის ფილიალის ქართული საცირკო შოუს კოლექტივი, რომელიც სულ ორი თვეა რაც შეიქმნა.

რამ განაპირობა კოლექტივის შექმნა, რა იყო მისი ძირითადი მიზანი, რატომ ჩამოყალიბდა ეს კოლექტივი ბათუმში? ამ და სხვა საკითხებითაც დავინტერესდით ფარმოდგენის დაწყების წინ ვესაუბრეთ რესპუბლიკის კულტურის ფონდთან არსებული ხელოვნების ცენტრის „ავანგარდის“ დირექტორს ზაზა ცეცვაძეს, ამ საცირკო შოუს შექმნის ორგანიზატორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს, ბათუმის სახელმწიფო ცირკის დირექტორს სერგო კუნჭულიას და მოჯირითე ქალთა ანსამბლ „ეგრისის“ ხელმძღვანელს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ნანა მელქაძეს.

აი რა გვითხრეს მათ.

ზაზა ცეცვაძე: მოგეხსენებათ, 30 წელზე მეტი ზნის მახძლზე ქართული საცირკო კოლექტივი გამოირეოდა თავისი ეროვნული კოლორიტითა და საშემსრულებლო ოსტატობით. ბევრმა ქართველმა მსახიობმა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები შეალია ამ სახელოვანი ტრადიციების მქონე კოლექტივში მოღვაწეობას, ყველა გვახსოვს (თუ არ გვახსოვს, გავიგონია მაინც) ის წარმატებები, რომლებიც ახლდა მათს გამოსვლებს უცხოეთში. მით უფრო გაუგებარი და გულდასაწყვეტია ცირკების საკავშირო გაერთიანების „სოიუზგოსცირკის“ 1989 წლის ოქტომბრის სპეციალური განკარგულება ქართული საცირკო კოლექტივის დაშლის თაობაზე, რის შედეგადაც ამ კოლექტივში მომუშავე მსახიობები „კოხვეირში“ გადავიდნენ.

ცირკების საკავშირო გაერთიანების ხელმძღვანელთა ამ არაობიექტური განკარგულების გამო ქართული საცირკო კოლექტივის წამყვანმა მსახიობებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება საერთოდ წასულიყვნენ ამ სისტემიდან და დამოუკიდებლად ეცადათ ახალი კოლექტივის ჩამოყალიბება. მაგრამ ეს საქმე ძლიერ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და დიდ ფინანსებს მოითხოვდა, რისი საშუალებაც დაშლილი კოლექტივის მსახიობებს არ ჰქონდათ, და აი, ბათუმის სახელმწიფო ცირკის დირექტორმა სერგო კუნჭულიამ, რომელთანაც ჩვენს ორგანიზაცია „ავანგარდს“ მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს, შემოგვთავაზა იდეა, რომ ერთობლივად მიგვეღო მონაწილეობა ბათუმში ჩვენი ფილიალის ბაზაზე ახალი საცირკო შოუს ჩამოყალიბების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ საცირკო შოუს შესაქმნელად პროფესიონალ მსახიობთა ძირითადი ბირთვი ცნობილი იყო, მაინც დიდი სიძნელეები წარმოიქმნა ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელების გზაზე. ჯერ რომ არა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, კულტურის სამინისტროს, კულტურის ფონდის მხარდაჭერა და ამავე დროს საცირკო შოუს ყველა მონაწილის უანგარო, დაუღალავი შრომა, პირადად ბატონ სერგოს თავდადება და შემართება, დღეს ამ პრემიერის მომსწრენი არ იქნებოდით.

სერგო კუნჭულია: ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ცირკების საკავშირო გაერთიანებამ მოინდომა ბათუმის სახელმწიფო ცირკის გაუქმება მაყურებლისათვის და მისი სარეპეტიციო ბაზად გადაკეთება „კონვეიერში“ მომუშავე მსახიობთათვის.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომა თავიანთ ერთობლივ წერილში „სოიუზგოსცირკის“ ხელმძღვანელობას შესთავაზეს მუშობის რამდენიმე ფორმა ჩვენი ცირკის ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ წერილს რეაგირება არ მოჰყოლია.

როგორც კი ცნობილი გახდა მათი არაობიექტური გადაწყვეტილება ქართული საცირკო კოლექტივის დაშლის შესახებ, გადავწყვიტე ყოველი ღონე მეხმარა საკავშირო გაერთიანებისაგან დამოუკიდებლად ამეღორძინებინა კარგი ტრადიციების მქონე ქართული ცირკი და პრაქტიკული დახმარებისათვის მივმართე საქართველოს კულტურის ფონდის ხელოვნების ცენტრის „ავანგარდის“ ხელმძღვანელობას. თუ როგორი გამოგვივიდა ეს ჩანაფიქრი და რა გავაკეთეთ, ეს თვით მაყურებელმა განსაჯოს.

ნანა მელქაძე: 20 წელია, რაც ჩამოყალიბებული გვაქვს მსოფლიოში ერთადერთი მოჯირითე ქალთა ანსამბლი სახელწოდებით „ეგრისი“. ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ მიხდებოდა ბრძოლა „სოიუზგოსცირკის“ ხელმძღვანელობასთან, რათა სათანადოდ შეფასებულიყო გოგონების შრომა ამ ურთულეს ჟანრში, მაგრამ ამაოდ... მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჯგუფი დიდი წარმატებით გამოდიოდა როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში, ასევე საზღვარგარეთ, ცირკების საკავშირო გაერთიანების ხელმძღვანელები აშკარად გვზღუდავდნენ კაპიტალისტურ ქვეყნებში გასტროლებისაგან, რადგან არ შეგვეძლო დაგვეამაყოფილებინა ზოგიერთი ბიუროკრატი ხელმძღვანელის პირადი ინტერესები. ასე ექცეოდნენ ისინი ჩვენი კოლექტივის სხვა ჯგუფებსაც. როცა შევიტყვე, რომ ბათუმის სახელმწიფო ცირკის დირექტორი სერგო კუნჭულია აყალიბებდა ქართულ საცირკო შოუს, აბა, რაღა დამაკავებდა. ამ საშვილიშვილო საქმეს დიდი ენთუზიაზმით გამოვეხმაურეთ და სიძნელეების მიუხედავად მაინც შევეფერ ჩამომეყვანა საქართველოში როგორც ცხენები, ასევე ჩემი გოგონები.

* * *

ქართული საცირკო შოუს კოლექტივმა მაყურებელთა სამსჯავროზე გამოიტანა ორიგინალური პროგრამა, რომელშიც შერწყმულია საცირკო, ქორეოგრაფიული და ვოკალური ხელოვნების ნიმუშები. ცირკის არენაზე პირველნი, ცხენებზე ამხედრებულნი, ერთვნული დროშით ნანა მელქაძის მოჯირითე გოგონათა ანსამბლი შემოიჭრება. გოგონებმა თავიანთი ოსტატობით მაყურებელთა დიდი ოვაციები დაიმსახურეს. შემდეგ სცენაზე ცეცხლი დაანთეს ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფმა კახა კალეპტრიშვილის ხელმძღვანელობით. მაყურებელი, განსაკუთრებით კი ბავშვები ძალზე გამხიარულდნენ ქალაქური პერსონაჟების, ექსცენტრიკოსების „სიკოსა და საქოს“ (ავთანდილ ჯამალაშვილი და რამაზ ირემაშვილი) გამორნილი.

მთელი საღამო მანეკენზე იყვნენ ჯამბაზთა ჯგუფის წევრები „მასხარა მიმის“, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ბესიკ კალანდაშვილის ხელმძღვანელობით.

მაყურებელი განაცვიფრა ატრაქციონმა „ინტერკოსმოსმა“, რომელის ხელმძღვანელია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ავთანდილ ფერაძე. ჯგუფის წევრები ჩვეული ოსტატობით ასრულებენ ჰაერში ურთულეს ნომრებს.

არენაზე არიან ლიონელ ბუტების „დისკო შოუ“. (ხელმძღვანელი — ნოდარ ექვთიმიშვილი), ღერძზე ტანმოვარჯიშეები გიორგი აღდგომელაშვილის ხელმძღვანელობით, ატრაქციონი „ზღვის ლომები“ (ხელმძღვანელები — ტატიანა და ვასილ ტიმჩენკოები). საცირკო შოუს თავისებურ ელფერს აძლევს ჯაზ-როკჯგუფის „ნატვრის ხეს“ მონაწილეობა. ამ ჯგუფის და ჯაზ-როკჯგუფის „ნატვრის ხეს“ მონაწილეობამ გაალამაზა მთელი პროგრამა. მაღლობა მინდა მოვახსენო ბატონ სერგო კუნჭულიას ამ მრავალფეროვანი საინტერესო შოუს შექმნისათვის, იმედია, კოლექტივი კიდევ უფრო გაამდიდრებს თავის რეპერტუარს ქართული ნომრებით.

ბერდია ბოჭორიძე, თბილისელი მოსწავლე: „პროგრამა ძალიან მომეწონა, (განსაკუთრებით კი ატრაქციონი „ინტერკოსმოსი“, რომლის თითოეული ფრაგმენტი ძალზე დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ჩემი სურვილი იქნება, რომ პროგრამაში უფრო მეტად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ცხოველები და ქართველი მომთვინიერებლები“.

ქართული საცირკო შოუს კოლექტივი თბილისში წარმოდგენებს გამართავს აპრილამდე, შემდეგ კი მიემგზავრება თურქეთში საგასტროლოდ, აქვთ მიწვევები ჩინეთში, ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში... მსახიობები თვითონ გამოიმუშავებენ ვალუტას, რომელიც უაღრესად საჭიროა კოლექ